ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ბიბლიოთეკა


# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №47 (1557) 21–24 მაისი, 1997 წელი


## მას დაურეკავს სუკის შეფ გუმბარიძესთან, უთხოვია ეთვალთვალა, მაგრამ არავითარი ზომები არ მიეღო!..

## ვენახათაღლვა საქართველოს საპატრიარქოში

2

## ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა

4

ციური დადიანიძე (გიგა გელაშვილის დედა):

## გიგას თუ ეს ბრალდებები დაუმტკიცდა, ფსიქიატრს უნდა გავასინჯოთ...

2

# გივი, გამოდი გივი და თქვი რამე, შე კაცო!..



## „ცუდი და კარგი ბანდები" ხელისუფლებაში

ხომ არაფერი გეცნობა მკითხველო?

9

## საგზაო პოლიციელს ბუჩქებიდან თვალთვალის უფლება დებულებით ჰქონია...

3

## ვისი გარდაცვალება ვინატროთ, ხელისუფალნო!

3

# ვნებათაღელვა საქართველოს საპატრიარქოში

## ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დატოვა ეკლესიათა საერთაშორისო საბჭოს რიგები

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო კავშირიდან. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დღეს წმინდა სინოდმა, - აცნობეს BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურიდან. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის დღევანდელ კრებაზე, აგრეთვე, გადაწყდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან და ეკუმენური მოძრაობიდან გამოსვლა. განხეთქილების შემომტანი ბერები ჩამოშორდებიან ღვთისმსახურებას, მორჩილები კი ვერ ეზიარებიან, ვიდრე სრულად არ მოინანიებენ.

### გთავაზობთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის

**ოქმს**

თბილისი
საქართველოს საპატრიარქო
20 მაისი 1997 წელი



დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

1. რამდენად არის მიზანშეწონილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემდგომი წევრობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში.

2. განხილვა სასულიერო და საერო პირთა იმ ჯგუფის ანტიეკლესიური და ანტიეროვნული ქმედებისა, რომელთაც გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს მართლმადიდებელ და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იმსჯელა ეკუმენური მოძრაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დაარსების შემდეგ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიები. 1962 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გახდა წევრი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი, 1979 წელს კი ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში გაწევრიანდა.

ვითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ წლებში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მხრიდან ადგილი აქვს მცდელობას მიანიჭოს ეკლესიოლოგიური ხასიათი თავად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის მრწამსს. ამ ეკუმენურ ორგანიზაციებში ნაკლებად არის გათვალისწინებული მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესები. ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიებში წარმოიშვა აზრი ამ ორგანიზაციიდან გამოსვლისა.

1995 წლის სექტემბერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე გამოითქვა აზრი ეკუმენური მოძრაობიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლო გამოსვლის შესახებ და ითქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა გაითვალისწინა ყოველი ზემოთქმული და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე

**ბ ა ნ ა ჩ ი ნ ა**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან.

2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იმსჯელა იმ სასულიერო და საერო პირთა შესახებ, რომელთაც გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან იმ საბაბით, რომ ისინი არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრნი, რითაც ეკლესიაში განხეთქილების შემოტანა სცადეს. განხეთქილების შეტანას ეკლესიაში ეწოდება სქიზმა, რომელიც არის იმდენად მძიმე ცოდვა, რომ წმინდა მამების სწავლებით ეს ცოდვა ვერ განიბანება მოწამეობრივი სისხლითაც კი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა

**ბ ა ნ ა ჩ ი ნ ა**

1. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გიორგი (ბარიშვილი) განთავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მღვდელმოქმედება.

2. შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტ იოანეს (შეულაშვილი) აეკრძალოს მღვდელმოქმედება.

3. მღვდელი ნიკოლოზ შუშტაკაშვილს აეკრძალოს მღვდელმოქმედება.

4. შიომღვიმის მონასტრის ბერს კირიონს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.

5. შიომღვიმის მონასტრის მორჩილს – ბესარიონს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.

6. შიომღვიმის მონასტრის მორჩილს – გურამს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.

7. დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი – არქიმანდრიტი გრიგოლი (კობახიძე) განთავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მღვდელმოქმედება.

8. დავით გარეჯის მონასტრის მორჩილს – ზურაბს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.

9. ბეთანიიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონოზონი ანგია (ჩოხელი) განთავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მღვდელმოქმედება.

10. ბეთანიის მონასტრის ბერს – ევტიქის აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.

11. ბეთანიიის მონასტრის ბერს – გაბრიელს აეკრძალოს წმიდა ზიარების მიღება.

12. ზარზმის მონასტრის წინამძღვარი – არქიმანდრიტი გიორგი (ხაბეიშვილი) განთავისუფლდეს მონასტრის წინამძღვრის მოვალეობიდან და აეკრძალოს მას მღვდელმოქმედება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სიონოდი ზემოაღნიშნულ პირებს მოუწოდებს სინანულისაკენ.

მოუნანიებლობის შემთხვევაში მათ დაედებათ საეკლესიო კანონის შესაბამისი სასჯელი.

**ილია II,**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს--პატრიარქი**

კონსტანტინე მარგველი მიტროპოლიტი
ათანასე, რუსთავის მიტროპოლიტი
კალისტრატე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი
თადეოზ, ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი
ანანია, მთავარეპისკოპოსი მანგლისისა და წალკის
ვახტანგი, მთავარეპისკოპოსი სამთავისისა და გორისა
ზოსიმე, მთავარეპისკოპოსი წილკნელი
გიორგი, მთავარეპისკოპოსი ჭყონდიდელი
იობი, მთავარეპისკოპოსი ურბნისისა და რუისის
დანიელი, მთავარეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთის
დავითი, მთავარეპისკოპოსი ალავერდელი
აბრაამი, მთავარეპისკოპოსი საგარეჯოს და გურჯაანის
სერგი, მთავარეპისკოპოსი ახალციხელი
იოსები, ეპისკოპოსი შემოქმედელი
ისაია, ეპისკოპოსი ნიქოზისა და ცხინვალის
სერაფიმე, ეპისკოპოსი ბორჯომისა და ახალქალაქის
ელისე, ეპისკოპოსი ნიკორწმინდელი
გრიგოლი, ეპისკოპოსი ფოთის
ნიკოლოზი, ეპისკოპოსი ცაგერისა და სვანეთის
თეოდორე, ეპისკოპოსი ბოდბელი
საბა, ეპისკოპოსი ხონის
დიმიტრი, ეპისკოპოსი ბათუმისა და სხალთის
ანტონი, ეპისკოპოსი ვანისა და ბაღდათის

---

ციური დადიანიძე (გიგა გელაშვილის დედა):

# გიგას თუ ეს ბრალდებები დაუმტკიცდა, ფსიქიატრს უნდა გავასინჯოთ...

*– რაც დაპატიმრებულია თქვენი შვილი არ გინახავთ?*

– მე არა, ცოლმა ნახა და სიდედრმა ნახა ორჯერ. ოღონდაც გამოძიება რომ დამთავრდა, მას შემდეგ. მანამდე არ გვინახავს...

*– სიდედრს თუ აჩვენეს, დედას რატომ არ...*

– გიგამ თვითონ მოითხოვა მასთან შეხვედრა.

*– როგორ? სიდედრი არჩია დედას?*

– არა, არა, სიდედრთან შეხვედრა იმიტომ მოითხოვა, რომ მან იცის, დედა დედაა და მე გავუძლებ ყველაფერს. მე მოსაკლავად დამდევდნენ და გიგას არ სჯეროდა, რომ ცოლ-შვილს არაფერს დაუშავებდნენ. იცით, ცოლმა იტირა, როგორ, დედაჩემის ნახვა უნდა და ჩემი არაო? გიგას იმის დარდი ჰქონდა, მე რომ მივსულიყავი. ხომ ხედავთ, ბ-ნო ნოდარ, რა ემოციურად ვლაპარაკობ, და გიგა ისეთ სიტუაციაში მენახა, იქიდან გამომიტანდნენ, სიდედრი კი სიდედრია და გაუძლებს (იცინის). ახლა კი ვიცინი, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ცრემლი არ შეგვშრობია, მამამისი სულ მეხუბებოდა, შენი ცრემლი არ დავინახო, თორემ არ ვიცი, რას ვიზამო, და ამავე დროს ორივენი მოთქმით ვტიროდით. აი, ასეთ დღეში ჩავცვივდით. არ გვინდა არაფერი, არც შევარდნაძეობა, არც გენერლობა, ყველაფერი მაგათი იყოს, ჩვენ ერთადერთი, რაც გვინდა, გიგას თავი დაანებონ და გამოუშვან.

*– აუცილებლად გამოუშვებენ, თუკი დამტკიცდა, რომ იმ დანაშაულებრივ ქმედებებში, რაც ბრალად წაყენებული აქვს, მონაწილეობა არ მიუღია.*

–ბ-ნო ნოდარ, თქვენ განათლებული პიროვნება ბრძანდებით, თვალების გამომეტყველებაზე გეტყობათ, წიგნებიც წაგიკითხავთ, კინოც გინახავთ და თქვენ თვითონ გეცოდინებათ, რამდენჯერ ყოფილა, რომ უდანაშაულო დაუხვრეტიათ და შემდეგ ნამდვილი დამნაშავე გამოჩენილა. მოსამართლეს მერე კი მოუხდია ბოდიში, შეგვეშალაო, მაგრამ ასე რომ შეეშალოთ გიგაზე, მერე რა ვქნა მე? ჩემს შვილს ვინ უშველის? ჩემმა შვილმა ახლა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ წაიკითხა თავის შესახებ რეებს სწერდნენ, ეს რას მაბრალებენო – მუცელი გადაიჭრა.

*– ეს ნამდვილი ფაქტია?*

– რა?

*– მუცლის გადაჭრა?*

- ჩემმა რძალმა მითხრა, თვითონ გიგამ დამანახა გადაჭრილი მუცელიო. ექიმსაც ველაპარაკე. ორმოცი სიცხით ვიწექი, რომ გამოაცხადეს, გაიქცევა სცადაო და ერთი ამბავიო. მეორე დღესვე მივედი ექიმთან და მან მითხრა, რვა ნაკერი დავადეო. როგორ? სპორტსმენი კაცისათვის როგორია მუცლის გადაჭრა? გიგამ თუ ჩაიფიქრა მუცლის გადაჭრა, ისეთი ბიჭია, ცარიელი თითითაც გადაიჭრიდა. აქვს მაგის მოხერხება. მერე ხომ შიმშილობდა უკვე იმიტომ, რომ ჩვენს ადვოკატზე უარი გვათქმევინეს და იცით, ადვოკატი რას მეუბნება, ხომ ვიცნობ გიგას კარგადო და თავჩაღუნული იჯდაო. გიგა რომ ლაპარაკობს, თვალებში უყურებს ადამიანს საერთოდ. იცით, რა უთქვამს ადვოკატისთვის, ამ ეტაპზე (ჯერ ერთი, გიგამ ეტაპებით ლაპარაკი არ იცის) მე ადვოკატი არ მჭირდება. არ გამოუწევია თავი ჩემს მხარეს, ისე ავდექი და წამოვედიო. ეს გიგას არ უთქვამს, ეს ათქმევინეს და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ ათქმევინებდნენ. მერე რომ მოვითხოვე, მთავრობამ მოგვცა თავისი ადვოკატი. შემდეგ გავიგეთ, ერთ მშვენიერ დღეს, გიგა არ ღებულობდა არავის. შემდგომ გავიგეთ, რომ გიგა თურმე შიმშილობს, მერე მე ბიჭებს ვუთხარი, ბორჯომის წყალს და რაღაცას მოვიტან და შევუგზავნოთ-თქო. რა ბორჯომი, რის ბორჯომი, მშრალი შიმშილი გამოაცხადაო და წყალსაც არა სვამსო და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, მე რა დამემართებოდა. მერე მივადექი თევდორაძეს, ორი დღე პარლამენტში გავატარე. წამოვიდა მაშინვე და ნახა გიგა. გიგამ მაშინ თქვა, რომ არც დაკითხვას არ დასწრებიაო ადვოკატი. გიგა ითხოვდა პარლამენტარებთან შეხვედრას, ბაბილაშვილს ითხოვდა და გამოძიების ხელახლა დაწყებას, იმიტომ, რომ ისეთი რამეები წერია თურმე – საერთოდ არც ერთი სიტყვა არ არის გიგას ნათქვამი. თევდორაძემ როცა გიგა ნახა, მერე მოგვცეს ადვოკატის აყვანის უფლება. ავიყვანეთ საკმაოდ ნორმალური პიროვნება.

გიგა ტერაქტების გამკეთებელი ორი მიზეზის გამო არ არის ბატონებო, – რატომ არ ჩაიდენდა გიგა მაგას? იმიტომ, რომ თუ მართლა რისკზე წავიდოდა, არაფერი არ შეეშლებოდა და არ ააცდენდა და თუ ააცდინა, ისე ეჭნებოდა გათვლილი, რომ არ დაეჭირათ. ეგ აბსოლუტურად არც 29 აგვისტოს ტერაქტში, არც სხვა ტერორისტულ აქტებში, არაფერში არ არის გარეული. აგერ იქნება სასამართლო. მე ამას ვიძახი როგორც დედა კი არა, ბ-ნ ნოდარ, არამედ გიგას ბუნებიდან გამომდინარე.

*– და მაინც, ქალბატონო ციური, თუ დაუმტკიცდა, მერე რას იტყვით?*

– თუ დაუმტკიცდა, ფსიქიატრს უნდა ვაჩვენოთ, ე.ი. მაგი რაღაც ფსიქიკურად შეიშალა, უნდა მოვათავსოთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ე.ი. გაგიჟდა, ნორმალური გიგა მაგას არ ჩაიდენდა, არ არსებობს, იმიტომ, რომ 32 წლის არის, 12 წლის ხომ არ არის. ვიმეორებ, 32 წლის ჩამოყალიბებული კაცია, მერე როგორ გახდებოდა ასე უცებ ტერორისტი, ამიხსენით, ან სამშობლოს მოღალატე, როცა თვითონ ბიჭებისგან ვიცი, თორემ გიგას არასოდეს უტრაბახია, რომ მე ომში ამას ვაკეთებდიო. თვითონ ბიჭებისგან ვიცი, ციური დეიდა, თუ ახლა ცოცხლები ვართ, გიგას დამსახურებაა, რომ ალყიდან გამოვუყვანივართო.

მე ძალიან მიკვირს, თუ ეს ყველაფერი ორგანიზებულად არ არის მოწყობილი, როგორ მოახერხეს ხალხის ასე შემობრუნება გიგას წინააღმდეგ?

*– რა იყო წინასწარ მოფიქრებული? მაგალითად, მამალაძემ წინასწარ მოიფიქრა გიგასთვის თავი გაეტეხვინებინა?*

– არა, გიგა და თავის გატეხვა?.. არა, ესენი კარგად იცნობენ მხედრიონელებს და ძალიან კარგად გადააგდეს ანკესი. იცოდნენ, რომ მხედრიონელები სხვანაირი ბიჭები არიან და პირამიდას რომ წაართმევდნენ, ისე არ გაჩერდებოდნენ. თავმოყვარეობის გულისთვის, იტყოდნენ, კაცო ჩვენ ვინა ვართო, ე.ი. ფეხებზე გვკიდებთო, აუცილებლად რეაქცია მოყვებოდა. ეს, ბ-ნო ნოდარ ანკესი, იყო გადაგდებული. აი, ამაშია საქმე. ეს ყველაფერი წინასწარ იყო ჩაფიქრებული და დაგეგმილი. ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. იმასაც კი ვფიქრობ, რომ ისე სახელდახელოდ გამართული აქტივის კრების სცენარიც წინასწარ იყო დაწერილი.

*– სახელმწიფოს არა აქვს უფლება გადაწყვიტოს, უნდა ამოიღოს იარაღი, თუ არ უნდა ამოიღოს?*

– სახელმწიფომ მისცა უფლება იარაღი გქონდეთო და სახელმწიფოს გამოეცხადებინა, კაცო, მამალაძეა სახელმწიფო?

*– მამალაძე სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო.*

– მერე მამალაძე სახელმწიფოს წარმომადგენელი როა, ჯაბა იოსელიანი და გიგა გელაშვილი ვინ იყვნენ? მოლაპარაკებოდა მათ, რომ უნდა ამოვიღოო და ამოიღებდნენ, კაცო, არაკაცურად რატომ აკეთებდნენ. ძაღლის ფასადაც არ აგდებდნენ?

*– მე რამდენადაც ვიცი, მეორე დღეს მათი მოლაპარაკება გაიმართა. უკვე ნაცემი გუბერნატორი...*

– არაფერი, არავინ ნაცემი არ იყო, კაცო. გიგას არ გაურტყამს, გიგას რომ ხელი დაერტყა, ეგ მამალაძე გუბერნატორად გამოდგებოდა კიდევ? ჰოდა, მერე თქვა მამალაძემ, რომ გაუგებრობა მოხდაო, მოიბოდიშა და რამდენჯერმე იყო ტელევიზიაში, გაუგებრობა მოხდაო და ყველაფერი კარგად არიო, ერთმანეთს გავუგებთო და...

*– რამდენადაც ვიცი, მეორე დღეს „მეტეხში" სუფრა გაიშალა და იქ შერიგდნენ.*

– შერიგდნენ, შეიძლება სუფრა თვითონ მამალაძემ გაშალა, გიგა მაგას ხომ სუფრას არ გაუშლიდა? (იცინის). ჰოდა მამალაძემ თუ გაშალა და ახლა შევარდნაძემაც და უფროსობამაც თუ უთხრეს აბა, ბიჭებო, მშვიდობიანად დაამთავრეთ ეს საქმეო, ხათრიანია გიგა, ხათრით შეიძლება მივიდა და შეურიგდა, იმიტომ კი არა, რომ გიგას თავის თავის ჯავრი ჰქონდა, მე არ გადამეკიდოსო, ბიჭებზე ფიქრობდა.

*– განათლება თუ აქვს გიგას?*

– როგორც გითხარით, გიგა პოლიტექნიკურში სწავლობდა, მერე ბორჯომში გაიხსნა იურიდიული ფასიანი და იქ სწავლობდა. იურიდიულზე იმიტომ, რომ რადგან ამ ამბავში აღმოჩნდა, იურიდიულზე ჯობიაო. მაგი არის არაჩვეულებრივი მეომარი, მაგას არც გენერლობა არ უნდა, არ უნდა ჩინ-მედლები, ეგ არის მეომარი.

*– პრეზიდენტთან თუ გიცდიათ შესვლა?*

– არასოდეს, არასოდეს, იცით, რატომ? ბევრი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ ვინ შემიშვებს მასთან?

*– თქვენ პირადად თუ იცნობთ პრეზიდენტს?*

– არა,

*– არ ყოფილა თქვენთან ოჯახში არასდროს?*

– არა, ჩვენთან არ ყოფილა, რაშია საქმე, იცით? – მე კარგად ვიცნობ ქ-ნ ნანული შევარდნაძეს „თეთრი მანდილიდან". ჩვენ ვიკრიბებოდით ხოლმე „თეთრი მანდილის" ქალები რაღაც აქციასთან დაკავშირებით, ობლებს ვეხმარებოდით, იქ პენსიონერებს. გასულ სექტემბერში მთავრობის მოედანზე ჩავატარეთ ჩვენ ლონისძიება, ბ-ნი შევარდნაძეც ბრძანდებოდა იქ „თეთრი მანდილის" აფხაზეთში წასვლაც გახსოვთ, ალბათ.

– მთელი ისტორიები მაქვს მოსაყოლი, რომ იცოდეთ. პოემა დაიწერება, რაც ჩვენ გზაში გადაგვხდა, აქედანაც და იქიდანაც მგზავრობის დროს.

გაგრძელება დასაწყისი იხ. „საქართველო" №44,45,46.

**გაგრძელება იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მენაღარიშვილი სტუმრებს ელოდება რუსეთიდან

საქართველოში მოსალოდნელია რუსეთის მაღალი სახელმწიფო ჩინების ვიზიტი და არსებობს იმის იმედი, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებაზე - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ინტერფაქსისათვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, არაა გამორიცხული ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტი, თუმცა ამას რუსეთი ოფიციალურად არ ადასტურებს.

ირაკლი მენაღარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო აქტიურად ემზადება ფართომასშტაბიანი ქართულ-ოსური მოლაპარაკებისათვის, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. (ბი ჯი აი)

## რა სურს რუსეთს ჩვენგან?

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და რუსეთის სახალხო დიპლომატიის წარმომადგენლები. რა გვინდა რუსეთისაგან და რა სურს რუსეთს ჩვენგან. რატომ არ სურს რუსეთს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა, როდის იქნება მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები. - ამ და სხვა საკითხებს განიხილავდნენ გუშინდელი შეხვედრისას. თუ არსებობს სუვერენული სახელმწიფოები, მაშინ მათ შორის კონკრეტული შეთანხმებები უნდა არსებობდეს. რუსეთთმა ძირითადი პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს სახით, ის სტრატეგიულ პარტნიორს დაკარგავს ამიერკავკასიაში. (ბი ჯი აი)

## ღმერთმა ინებოს

თუ ევროკავშირი მოისურვებს, ის საქართველოს ყველა პრობლემის გადაჭრას შესძლებს, - განაცხადა დღეს, სტრასბურგში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კობახიძემ. მისი თქმით, პოზიტიურად აღიქვეს თხოვნა, ევროკავშირში საქართველოს ასოცირებულ წევრად მიღების შესახებ.

თავის მხრივ, ევროკავშირმა მზადყოფნა გამოხატა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ დსთ-ის ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობის საპარლამენტო დელეგაციებთან ერთად განიხილონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, - აღნიშნა კობახიძემ.

# საგზაო პოლიციელს ბუჩქებიდან თვალთვალის უფლება დებულებით ჰქონია...

*საგზაო სამსახურის პრესცენტრმა შემდეგი პასუხი მოგვაწოდა გაზეთ „საქართველოს" პუბლიკაციაზე*

მიმდინარე წლის 14-17 მაისის გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში - „უპატრონოდ მიტოვებული გზები და დამალული ავტოინსპექტორები" - ავტორი პროფ. შოთა ყიზილაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოში საავტომობილო გზების მდგომარეობასა და საგზაო პოლიციელთა მიერ სატრანსპორტო მოძრაობაზე ფარული მეთოდით ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

ქვეყანაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების დროს მკვეთრად გაუარესდა საავტომობილო გზების ტექნიკურ-საექსპლუატაციო პირობები, განადგურდა საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და სხვა) 80%-ზე მეტი, დაირღვა გზის საფარი და სხვ.

შექმნილი მდგომარეობის შესახებ საგზაო პოლიციამ, როგორც მაკონტროლებელმა უწყებამ, არაერთგზის მოახსენა ქვეყნის მთავრობას, იგი ეცნობა კონცერნ „საქავტოგზას", რომლის უშუალო მოვალეობასაც წარმოადგენს ავტომაგისტრალების მოვლა-პატრონობა, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო მან საჭირო სამუშაოები ვერ შეასრულა.

გასულ წელს შეიქმნა საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საკმაო მოცულობის სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო თანხების გამოყოფას ქვეყნის ავტომაგისტრალების საექსპლუატაციო პირობების გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება საგზაო პოლიციელის მიერ ტრანსპორტის მოძრაობაზე ფარული მეთოდით ზედამხედველობას, იგი წარმოადგენს სათანადო დებულებით (საგზაო პოლიციის საპატრულო სამსახურის შესახებ) რეგლამენტირებულ საგზაო პოლიციის საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაობის ერთ-ერთ ფორმას და გამოიყენება საგზაო მოძრაობაზე კონტროლის განსახორციელებლად. პატრულირების აღნიშნული ფორმა ძირითადად მიმართულია საგზაო მოძრაობის წესების ისეთ უხეშ დარღვევათა გამოვლენა-აღკვეთისათვის, როგორიცაა, მაგალითად, დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება და არასწორი გასწრება.

საავტომობილო მოძრაობაზე ამგვარი პატრულირების მეთოდი სხვადასხვა ფორმით გამოყენებულია მსოფლიოს უმეტესი განვითარებული ქვეყნების საგზაო პოლიციის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში და ეს არაეითარ შემთხვევაში არ უნდა აღიზიანებდეს მძღოლს, რადგან თუ იგი ყველგან და ყოველთვის განუხრელად იცავს წესებს (რაც სატრანსპორტო საშუალების საჭესთან მყოფი ადამიანის უპირველესი და უშუალო მოვალეობაა), მისთვის აბსოლუტურად არავითარ „საფრთხეს" არ წარმოადგენს ჩირგვსა თუ ბუჩქნარში „ჩასაფრებული" პოლიციელი.

აქვე უნდა აღინიშნოს: მძღოლი, რომელიც მხოლოდ პოლიციის საგუშაგოსთან მიახლოებისას ან საგზაო პოლიციელის შემჩნევისას ანელებს სიჩქარეს და იცავს მოძრაობის წესებს, ცხადია, დიდ სირთულეებს ქმნის საგზაო მოძრაობაში, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა სამწუხარო სტატისტიკაც.

სასურველ წესრიგს მხოლოდ კანონისადმი მოქალაქეობრივი, ანუ შეგნებული პატივისცემა განაპირობებს.

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახური**

# 24 მაისს იწყება მჯდომარე აქცია

„24 მაისიდან, თბილისში იწყება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს მჯდომარე აქცია. იგი წინ უძღვის საპარლამენტო კვირას, რომელზეც პარლამენტი აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს" - განაცხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრმა მანგულ ხუბუამ დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მისივე თქმით, აქციის მიზანია ზეწოლა მოახდინოს ხელისუფლებაზე და თუ პარლამენტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე, საკოორდინაციო საბჭოს წევრები იძულებულნი გახდებიან გაეიდნენ რაიონებში და ლტოლვილებთან ერთად გადაკეტონ საავტომობილო მაგისტრალები. „ჩვენ არ გვინდა დესტაბილიზაცია და ომი" - განაცხადა დასასრულს მ.ხუბუამ. (იფრინდა)

# ვისი გარდაცვალება ვინატროთ, ხელისუფალნო!

გლდანში იშვიათად მიწევს ყოფნა, უკანასკნელად რომ ვიყავი იქ, კიდევ წასვლის მცირეოდენი სურვილიც არ დამრჩენია. გზები თუ ქუჩები ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, მიყრუებული სოფლის შარაგზას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქის ქუჩებს. ამ დღეებში იძულებული შევიქენი საკუთარი მანქანით გლდანში მცხოვრები ახლო ნათესავი სახლამდე მიმეყვანა. იქ ასული სახტად დავრჩი: წინადღით გაპარტახებული გზა საუცხოო მდგომარეობაში დამხვდა, უმეტეს მონაკვეთზე ახალი საფარი გადაუფარებიათ, სადაც შესაძლებელი იყო, ორმოები ამოუვსიათ, მოკლედ, გესიამოვნება კაცს. ჩემი თანამგზავრი მატყობს გაოცებას და მიხსნის: გლდანის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გარდაიცვალაო, აცხონოს ღმერთმა, თვით პრეზიდენტი აპირებსო მის გამოსვენებაზე დასწრებას და გზაც სახელდახელოდ ერთ ღამეში შეაკეთესო მხოლოდ ეკლესიამდე, იქიდან აპირებენო იმ ცხონებულის გამოსვენებას. ეკლესიას გავცდით და ისევ ისეთი დანგრეული, ატალახებული გზებით, როგორც იქნა, მივაღწიეთ დანიშნულების ადგილამდე...

გამახსენდა გასული წლის ზაფხული, ერთი მართლაც კარგი ქართველის გარდაცვალება. მაშინაც ხმა დაირხა, პრეზიდენტი აპირებსო პანაშვიდზე მობრძანებას, ერთ ღამეში დიდი დიღმის შიდა გზები სახელდახელოდ შეკეთდა, შეკეთდა მხოლოდ ქალაქიდან განსვენებულის ბინამდე მისასვლელი გზა, თუნდაც 10-15 მეტრით გვერდზე. გადახვევა არ უფიქრია არავის.

შეიძლება უხნეობა იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მინდა მავანნი მაინც გავაფრთხილო: ღმერთმა ნუ ქნას წინასწარ „იყნოსოს" ხალხმა თანამდებობის პირთაგან ვის პანაშვიდზე ან გასვენებაზე მოისურვებს დასწრებას ბატონი პრეზიდენტი, თორემ ვინ იცის რას არ მოიფიქრებენ ქალაქის საგზაო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობით გატანჯული თბილისელები, გაემტყუნებათ თუ რა?!

**მ.ღვინიაშვილი**

● *სარედაქციო ფოსტიდან*

## ბევრი რამ მიკვირს, რას მივაწერო!

ჩემი სპეციალობის მქონე მოქალაქესათვის 1953 წლიდან 1990 წლამდე ხშირად მიხდებოდა ავტომანქანით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოგზაურობა და მუდამ ჩემს გაკვირვებას ის იწვევდა, რომ როგორც საგზაო ნიშნები, ასევე რაიონების და სოფლების დასახელება, სააგიტაციო ლოზუნგები, ყოველთვის რუსულ ენაზე იყო დაწერილი, ან ჯერ რუსული წარწერა, მის ქვეშ კი ქართული. ასეთივე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ჩვენ დედაქალაქ თბილისშიც: მაღაზიები, ბანკები, სამინისტროს დასახელებები და სხვა, რუსული წარწერებით იყო სავსე; ახლა კი ინგლისური წარწერებით გაივსო. მეტროს ჩასასვლელებშიც კი, ალბათ, მალე მიხვდნენ ამ უმსგავსობას და აიღეს (მოხსნეს).

დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა (ჯერ ამაშიც დაჯერებული არ ვარ), რატომ არ დავანებებთ თავს ამ ცუდ და მავნე ზნე-ჩვეულებას? რატომ ჯერ ქართულ წარწერას არ უკეთებთ და თუ საჭიროა, შემდეგ მის ქვეშ უცხოურ ენაზე.

ზოგიერთი ფირმის მფლობელმა მარტო ინგლისური წარწერით „დაამშვენა" თავისი ფირმა რა გამოდის, მისი მფლობელი მაიძულებს ქართული ენა დავივიწყო და ინგლისური ვისწავლო? მე ხომ ინგლისში ან ამერიკაში არ ვცხოვრობ?

რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოსულებმა რაღა ქნან?

ჩემი თხოვნა ანუ მოთხოვნა: თუ საქართველოს მოქალაქეებს მეობა და თავმოყვარეობა შერჩათ, რა უნდა იყიდონ იმ მაღაზიებში ან ფირმებში, სადაც მარტო უცხო ენაზეა წარწერა. იქნებ ამ მეთოდით ვასწავლოთ ჭკუა ტაკიმასხარა მიმბაძველებს.

თუკი საკითხს ქალაქის მერია და ის ორგანოები, ვისაც ეს ეხება, მიაქცევენ ყურადღებას, მადლობის მეტი რა გვეთქმის.

**შალვა ზუკაკიშვილი**
შრომისა და ომის ვეტერანი

## თევდორაძის მიმართ პროვოკაციებია მოსალოდნელი

გამორიცხული არ არის, რომ ელენე თევდორაძის მიმართ პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი. შესაძლოა ისინი მიზნად არ ისახავდნენ მის მოკვლას, მაგრამ დაშინების მცდელობები გარდაუვალი იქნება, - ნათქვამია საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში. მასში ნათქვამია, რომ ელენე თევდორაძე საქართველოს პარლამენტის პენიტენციალური რეფორმების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეა და იკვლევს ამჟამად პატიმრობაში მყოფი ფირმა „ელიზის" პრეზიდენტისა და ფირმა „ომეგაზე" თავდასხმაში ეჭვმიტანილ პატიმართა უფლებების ხელყოფის საკითხს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თევდორაძეს მკაცრი გამოსვლები ჰქონდა, რომლებმაც გარკვეული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია, - აღნიშნულია განცხადებაში, - მცირე ხნის წინ დაფიქსირდა თევდორაძისთვის მანქანის დაჯახების მცდელობის ფაქტი.

ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი" თხოვნით მიმართავს გენერალურ პროკურორს, შინაგან საქმეთა მინისტრს, - მიიღონ შესაბამისი ზომები პროვოკაციების შესაწყვეტად.

## ზვიადისტები 26 მაისს თავისებურად აღნიშნავენ

26 მაისის - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - აღნიშვნის უფლება, იურიდიულ და მორალურ ასპექტშიც, მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას აქვს, - განუცხადა BGI-ის კორესპონდენტს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარემ ლეილა ცომაიამ. „26 მაისს ჩვენ მიტინგს და მანიფესტაციას ჩავატარებთ. ხელისუფლება ჩვენთვის ხელის შეშლას შეეცდება, მაგრამ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ", - აღნიშნა ცომაიამ. (ბი ჯი აი)

## ახალი ტარიფები ელ.ენერგიის შესყიდვაზე

ეკონომიკის სამინისტრომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასთან შეთანხმებით დააწესა ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ შესასყიდი საბითუმო ტარიფი.

ტარიფების თანახმად, საქართველო ხუთ ჯგუფად არის დაყოფილი. პირველ ჯგუფში შესულია თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი. ამ ქალაქებში, 1 კვტ.სთ. ელ.ენერგიაზე ტარიფები 2,8 თეთრს შეადგენს. დანარჩენ 4 ჯგუფში შემავალი ქალაქები და დასახლებები გადაიხდიან შემცირებულ ტარიფებს, რომლის მინიმალური თანხა 1 კვტ.სთ. ელ.ენერგიაზე 2.4 თეთრია. (იფრინდა)

## ქართველი ნაციონალისტები «თავისუფლების» პარტიის წინააღმდეგ

„თავისუფლების“ პარტიის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველომ და აფხაზებმა კონფედერაციის საფუძველზე უნდა შექმნან სახელმწიფო, არაფრითაა გამართლებული, – ნათქვამია ქართველ ნაციონალისტთა ერთობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ორიენტირებულია აფხაზეთთან კონფედერაციის შექმნაზე და ცდილობს სხვადასხვა პარტიების მეშვეობით ეს იდეა საზოგადოებრიობას მოახვიოს თავს. თუ ეს მოხერხდა, ხელისუფლება ამას „დიდსულოვნად“ დაეთანხმება, – აღნიშნულია განცხადებაში (ბი ჯი აი)

## კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტი პროტესტს გამოთქვამს

გუშინ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების – ზვიად განმანთავისუფლებლის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის კავშირის წევრები საპატრიარქოს რეზიდენციის შენობასთან შეიკრიბნენ. მათ დაგეგმილი ჰქონდათ საპროტესტო აქციის მოწყობა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტთან „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“. აქციის მონაწილეთა მოთხოვნები იყო მართლმადიდებლური რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და აღნიშნული კანონპროექტიდან მე-9 და მე-10 მუხლების ამოღება.

მეცხრე მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს საქართველოში არსებულ ოთხ ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციას, რომლებიც შეადგენენ საქართველოს ისტორიულ და სოციალურ მემკვიდრეობას. ესენია: ისლამი, იუდეველობა, სომხეთის სამოციქულო ეკლესია და კათოლიკური ეკლესია.

რაც შეეხება მეათე მუხლს, მასში ნათქვამია, რომ არატრადიციული რელიგიური ორგანიზაციები შეიძლება აღიარებულნი იქნენ სახელმწიფოს მიერ ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციად, თუ ისინი სარგებლობენ საზოგადოების მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ რელიგიურ მიმდევრობას ეძლევა იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირების უფლება, თუ იგი შეაგროვებს 500 მხარდამჭერს. იმავე მუხლში ნათქვამია, რომ არატრადიციული რელიგიური ორგანიზაციები, ტრადიციულად აღიარებისათვის, შუამდგომლობით მიმართავენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციიდან 25 წლის შემდეგ. გამომდინარე აქედან, აქციის მონაწილეთა თქმით, ჩნდება პერსპექტივა, რომ იეღოველობა, ბაბტიზმი და სხვა რელიგიები ტრადიციულ რელიგიებად დაკანონდება.

იმავე შენობის წინ შეკრებილი იყო მრევლთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. მათი შეკრების მიზანი საპატრიარქოში დღეს მიმდინარე სინოდის კრება იყო, რომელიც იხილავს შიო მღვიმის, ბეთანიისა და დავით გარეჯის მამათა მონასტრების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან, საქართველოს ეკლესიასთან, მოფლიოსა და მოსკოვის საპატრიარქოებთან ევქარისტული კავშირის შეწყვეტის საკითხს.

კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტის სურვილი მრევლთან შეერთება იყო, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ეს არ ისურვეს, რადგან, მათი თქმით, დღევანდელი სინოდის კრება ეხება ეკუმენიზმის დაგმობას და არა აღნიშნულ კანონპროექტს. მათივე თქმით, პატრიარქი არ იცავს მართლმადიდებლობას და აქედან გამომდინარე იგი ამ კანონს ვერ დაიცავს. მრევლმა ურჩია მათ, საპროტესტო აქცია პარლამენტთან მოეწყოთ. თავის მხრივ, აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ დღევანდელ „ანტიეროვნულ“ ხელისუფლებას და პარლამენტს, რადგან იგი არასოდეს არ იცავდა ხალხის ინტერესებს და მათ იმედი არა აქვთ, რომ არსებული რეჟიმის პერიოდში ეროვნული მოძრაობის რაიმე მოთხოვნა შესრულდება. (იფრინდა)

წიგნიდან «სუკი და ძალაუფლება»

# ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა

ფილიპ ბობკოვი

*ფილიპ დენისის ძე ბობკოვი დაბ. 1925 წ. 1946 წლიდან მუშაობს კაგებეში. გამოიცვალა 12 თავმჯდომარე: მერკულოვი, აბაკუმოვი, იგნატიევი, ბერია, კრუგლოვი, სეროვი, შელეპინი, სემიჩასტნი, ანდროპოვი, ფედორჩუკი, ჩებრიკოვი, კრიუჩკოვი, ანდროპოვის დროს იყო საკავშირო სუკის იდეოლოგიური დივერსიის განყოფილების უფროსი, ბოლოს, კრიუჩკოვის დროს კი კაგებეს თავმჯდომარის მოადგილეა. ბობკოვი, ბუნებრივია, საბჭოთა ნაწრთობი მუშაკი და უკიდურესი მემარცხენეა. ამ პოზიციიდან არის დაწერილი მისი წიგნიც „სუკი და ძალაუფლება“, მაგრამ ამ წიგნს უნიკალური მნიშვნელობა აქვს ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, მისი ავტორი ხომ კაგებეს მოქმედებებში ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უშუალო მონაწილე და თვითმხილველია. ქართველი მკითხველისათვის ეს წიგნი სრულიად უცნობი გახლავთ. გთავაზობთ ერთ თავს – „ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა“, რომლითაც, მართალია, რუსის კომენტარით, მაგრამ ჩვენი დროის მრავალ პირველხარისხოვან ისტორიულ ფაქტზეა საუბარი.*




80-იანი წლების მეორე ნახევრისთვის საქართველოში ჩამოყალიბდა რთული პოლიტიკური სიტუაცია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოვიდა ოპოზიცია – კარგად მომზადებული, შემოქმედებითი და მეცნიერული ინტელიგენციის მხრიდან დიდი მხარდაჭერის მქონე. ამ მხარდაჭერის მნიშვნელობა ორი გარემოებით გაძლიერდა: ინტელიგენცია გართული იყო ნაციონალისტური ლოზუნგებით, რომლის თანხლებითაც ბალტიისპირეთისა და უწინარეს ყოვლისა ესტონეთის მაცხოვრებელთა გამოსვლები მიდიოდა.

საქართველოში ოპოზიციას მხარს უჭერდა შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, ადამიანები, ვინც ახლოს იყვნენ ე.შევარდნაძესთან და მისი პირველი მდივნობის პერიოდში თანამშრომლობდნენ მასთან. ესენი იყვნენ, – კინორეჟისორები რეზო ჩხეიძე და ელდარ შენგელაია, პროფესორი ბაქრაძე და სხვები. ისინი გამოდიოდნენ პირდაპირი განცხადებით, თითქოსდა 20-იან წლებში საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ეგრეთწოდებულ სამართალდამცავებს, ვინც უკვე დიდი ხანი იკრებდა ძალებს საქართველოში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოსვლისათვის. მათ რიცხვს ეკუთვნოდა გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, წერეთელი და ზოგიერთი სხვა.

ყველაზე დიდი როლი მათ წრეში იმ დროისათვის ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა, რომლის ავტორიტეტი მისი მამის – ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას დიდებიდან იკვებებოდა. ზვიადმა შეიძინა სამართალდამცავი მოძრაობისათვის წამებულის შარავანდედი. ის სხვებზე მეტად მიისწრაფოდა ძალაუფლებისაკენ და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის არჩევნებში გამარჯვებასაც კი ლამობდა. უზომო პატივმოყვარეობით იყო ეს კაცი შეპყრობილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ამბობენ, იგი სამართალში მიცემული იყო, როგორც სხვაგვარად მოაზროვნე. არაფერი მსგავსი! იგი დაპატიმრებული იყო და სასამართლოს წინაშე წარსდგა 1979 წელს, (ავტორის შეცდომაა. გამსახურდია დააპატიმრეს უფრო ადრე, რედ.), მას შემდეგ, რაც იგი დააკავეს მოსკოვში ამერიკის დაზვერვის რეზიდენტისათვის სხვადასხვა მასალების გადაცემის მომენტში. მაშინ მან სასამართლოს წინაშე მთლიანად სცნო თავი დამნაშავედ და ამის გამო სპეციალური განცხადებაც გააკეთა, რაც გადაიცა ცენტრალური ტელევიზიით. ზვიად გამსახურდიას მიუსაჯეს სამი წლით გადასახლება, რომელიც საქართველოს მთავრობის შუამდგომლობით, მან მოიხადა მთიანი კავკასიის ალპიურ საძოვრებზე, საქართველოს სუკ-ის პატრონაჟის ქვეშ.

სასჯელმოხდილი ზვიადი პრაქტიკულად ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას და სცენაზე მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა, როგორც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. ჭანტურიას ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებამდე ეს იყო რესპუბლიკაში მთავარი ოპოზიციური ძალა.

ოპოზიციონერები აწყობდნენ მიტინგებს, მსვლელობებს, მრავალრიცხოვან კრებებს სტუდენტთა აუდიტორიებში, რითაც ამზადებდნენ მასობრივ გამოსვლებს თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში.

ამავე დროს იქმნებოდა საქართველოს სახალხო ფრონტი შენგელაიას, ჩხეიძისა და კულტურის სხვა მოღვაწეთა თაოსნობით, რომელთა ხელშიც იყო ახალგაზრდული პრესა და ტელევიზია. მათ მიიტანეს იერიში საბჭოთა ხელისუფლებაზე, ეფარებოდნენ რა „პერესტროიკის“ ლოზუნგებს – დაიწყო საქართველოს ისტორიული წარსულის კრიტიკული გადაფასება, რუსეთის „იმპერიული პოლიტიკის“ მხილება, ქართველი ბოლშევიკების როლის უგულებელყოფა ცარიზმის თვითმპყრობელობის ჩაგვრისგან განთავისუფლების საქმეში. დადგა 1990 წლის აპრილი (ავტორის შეცდომაა რედ.). დაიწყო პროტესტის მასობრივი აქციები.

რამდენიმე კვირის განმავლობაში თბილისში, მინისტრთა საბჭოს წინ მდებარე მოედანი გახდა საჯარო გამოსვლების არენა: ჯერ ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა შიმშილობა მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, შემდეგ მოწვეული იქნა ხალხმრავალი მიტინგი „სახალხო პროტესტის“ გამოხატვის მიზნით კომუნისტების წინააღმდეგ. ამავე დროს მზადდებოდა მებრძოლი ჯგუფი ჯაბა იოსელიანისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების მეთაურთა ხელმძღვანელობით, რომელთაც თავი მოგვიანებით გამოავლინეს.

ოპოზიცია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ემზადებოდა. ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, ხედავდა ამას, ესმოდათ, რომ მდგომარეობა ფეთქებადი ხდებოდა და აუცილებელი იყო გადაუდებელი ზომების მიღება. მაგრამ როგორი? პოლიტიკური? ამისათვის არავინ არ იყო მზად, თანაც მცირე დროის განმავლობაში მომზადება არ იყო იოლი. ოპოზიცია კი ერთს ითხოვდა – გადაეცათ მათთვის ძალაუფლება.

1990 წლის აპრილში აქტიურ ოპოზიციას წარმოადგენდა მემარჯვენე ძალების ბლოკი (გამსახურდია, კოსტავა, წერეთელი, ჭანტურია); სახალხო ფრონტის ორგანიზატორები მხოლოდ თავმდაბლად უქნევდნენ მათ თავს, რათა რეტროგრადებად არ გამოჩენილიყვნენ. საქართველოს სახალხო ფრონტმა არ ითამაშა შესაშური როლი. იგი ყოველნაირად აღვივებდა ნაციონალისტურ ისტერიას, თავს არიდებდა კონსტრუქციულ მუშაობას. ცენტრს უცნაური, წინააღმდეგობრივი პოზიცია ეკავა, სკკპ პოლიტბიურო, კერძოდ მ.გორბაჩოვი, მოითხოვდა რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციას, მეორეს მხრივ, საქართველოს კომპარტიის ცკ (პატიაშვილი, ხოლო შემდეგ გუმბარიძეც) დაადანაშაულეს მოვლენათა გადამეტებულ დრამატიზაციაში.

ისე, ამგვარი სტილი დამახასიათებელი გახდა მ.გორბაჩოვისთვის, იგი თითქოს ამართლებდა ცენტრის უმოქმედობას და აშკარად სურვილის უქონლობას წესრიგის დამყარებისათვის. შედეგად ადგილობრივი ხელისუფლება პარალიზებული აღმოჩნდა და მიმდინარე პროცესებზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა.

რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ იყო სამხედრო ძალის გამოყენებაზე, მაგრამ ფორმულა: არ არის საჭირო მოვლენათა დრამატიზირება – ბორკავდა პრესას და ამგვარად ადამიანები, იღებდნენ რა აშკარად ტენდენციურ ინფორმაციას, ყველაფერს არასწორი პოზიციიდან ხედავდნენ, უჯერებდნენ ჭორებს. მ.გორბაჩოვის საყვარელი გამოთქმა: „პროცესი დაიძრა“ არავისთვის არაფრის მთქმელი არ იყო. რა პროცესი? საით მიდის იგი? აი, პროცესი კი მართლაც მიდიოდა, მაგრამ იგი მიდიოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ – დიადი ქვეყნის დაშლისაკენ.

რისი გაკეთება შეეძლო ამ პირობებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ს? მოეხმო ხალხი, ქარხნების მუშებისათვის მოეწოდებინათ მოედანზე გამოსვლა, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ პროვოკატორებისათვის! თბილისის მშრომელი ხალხი ნამდვილად გამოვიდოდა და წამქეზებლებს საკადრის პასუხს გასცემდა, როგორც ამას თბილისის, რუსთავისა და ბათუმის მრავალი შრომითი კოლექტივი აკეთებდა, როდესაც მყვირალა-აგიტატორებს ქარხნის ტერიტორიიდან მოაბრძანებდნენ ხოლმე.

თუმცაღა მოსკოვი ურჩევდა არ დაეშვათ კონფრონტაცია და არ „ჩაექროთ“ პროცესი, ამავე დროს ბრძანებდა არმიის სრულ მზადყოფნას, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ სახელმწიფო დაწესებულებების დარბევა ან აღება. ამგვარ მითითებებს იძლეოდა მ.გორბაჩოვი, რომელიც იმ დროს ინგლისში იმყოფებოდა, მაგრამ მოსკოვთან უწყვეტი კავშირი ჰქონდა და საქმის კურსში იყო. არცერთი ბრძანება თბილისში მასთან შეთანხმების გარეშე არ წასულა.

ბევრი დაწვრილებით ყვებოდა ვნუკოვოს აეროპორტში ლონდონიდან გორბაჩოვის დაბრუნების შემდეგ შემდგარ „საიდუმლო შეხვედრის“ შესახებ. მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ დამირეკა კრიუჩკოვმა და გადმომცა, რომ გორბაჩოვმა დადებითად შეაფასა თბილისში წესრიგის დამყარების მიზნით ჯარის ნაწილების შეყვანა. შევარდნაძე და რაზუმოვსკი უნდა გაფრენილიყვნენ თბილისში, ადგილზე ხელმძღვანელობის მიზნით.

როგორც კრიუჩკოვმა შემატყობინა, მას დაურეკია საქართველოში სუკ-ის შეფ გუმბარიძესთან. მისთვის უთხოვია გულდასმით ეთვალთვალა მოვლენების განვითარებისათვის, მაგრამ არავითარი ზომები არ მიეღო.

მე ველაპარაკე ტელეფონით გუმბარიძეს და მან დამიდასტურა, რომ ამგვარი მითითებები მან მიიღო კრიუჩკოვისაგან. შემდეგ კი შემატყობინა, რომ საქართველოს ცკ-ს პირველი მდივნის, პატიაშვილის თხოვნით, შევარდნაძისა და რაზუმოვსკის ჩამოსვლა გადაიდო, რომელმაც აღუთქვა, რომ საკუთარი ძალებით გაიგდოდა იოლას და მოვლენათა განვითარებას შეაჩერებდა. ქალაქში მდგომარეობის შესახებ ჩემს კითხვას გუმბარიძემ უპასუხა:

– საქმე ცუდადაა. ბრბოს მოქმედება სწყურია. ლოზუნგები – ანტისაბჭოურია. ჯერჯერობით ვუმკლავდებით, თუმცა უკვე გაისმის მოწოდებები მთავრობის სახლის შტურმის შესახებ.

იმის შესახებ, რომ ჯარები უკვე მოქმედებაში იყვნენ მოყვანილნი, არაფერი იყო ნათქვამი.

დილის ექვს საათზე გამაღვიძა გუმბარიძის მორიგმა ზარმა:

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მან სიმართლის გარდა ყველაფერი თქვა

„რესპუბლიკა აფხაზიის" მთავარმა რედაქტორმა ვიტალი ჩამაგუამ სოხუმის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში, ეუთოს ეგიდით ვარშავის დემოკრატიულ ინსტიტუტში გამართულ ქართველ, აფხაზ და ოს ჟურნალისტთა შეხვედრა შეაფასა. მისი აზრით, აფხაზი ჟურნალისტების დოკუმენტების მოუწესრიგებლობით გამოწვეულმა ბრესტში მომხდარმა ინციდენტმა ცხადყო, რომ ვიღაც შეხვედრის ჩაშლით იყო დაინტერესებული, ჩამაგუამ რადიოინტერვიუში „ბრესტის ინციდენტის" ყველა დეტალი გაიხსენა, გარდა იმისა, რომ კოლეგებისადმი სოლიდარობის ნიშნად ქართველმა ჟურნალისტებმა ვარშავაში გამგზავრებაზე პროტესტი გამოთქვეს. მას არაფერი უთქვამს იმასთან დაკავშირებითაც, რომ ვარშავის შეხვედრა ქართველ ჟურნალისტთა მტკიცე პოზიციის გამო გაიმართა.

ჩამაგუას რადიოინტერვიუში მსმენელთა ყურადღება განგებ არ გაუმახვილებია მასზედ, რომ ბელორუსიის სასაზღვრო სამსახურის მუშაკებმა აფხაზ ჟურნალისტებს აფხაზეთის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები იურიდიული ძალის არმქონედ ჩაუთვალეს.

## ევროპელი სტუმრები სოხუმში

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ეგიდით, სიტუაციის ადგილზე შესასწავლად სოხუმში იმყოფებოდნენ დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. მათთან შეხვედრისას სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელებმა, კერძოდ, თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, ევროპელ სტუმრებთან საუბარში შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებისას მხოლოდ ქართული მხარის პოზიციას ითვალისწინებენ. სეპარატისტული პარლამენტის სპიკერმა, სოკრატ ჯინჯოლიამ ეუთოს წარმომადგენლებს აფხაზეთისათვის დახმარების გაწევის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა უსაყვედურა და ლტოლვილთა დაუბრუნებლობაც იმ მოტივით ახსნა, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას დაბრუნებულთათვის დახმარების გაწევის საშუალება არ გააჩნია. ჯინჯოლიას აზრით, იმისათვის, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებები წარმატებით გაგრძელდეს, აუცილებელია შუამავალმა ყურადღებით მოისმინოს და გაითვალისწინოს აფხაზური მხარის მოსაზრებები. მანვე ეუთოს წარმომადგენლებს აფხაზეთზე ეკონომიკური ბლოკადის მოსახსნელად საერთაშორისო ორგანიზაციებში შუამდგომლობა სთხოვა.

## გათვალისწინებული უნდა იქნეს მთიანი ყარაბაღის ხალხის აზრი

სომხეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ კოჩარიანი არ გამორიცხავს მთიანი ყარაბაღის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, სომხეთთან შეერთების საკითხის „სერიოზული განხილვის" შესაძლებლობას. ერევანში, სომხეთის პარლამენტის დეპუტატების წინაშე გამოსვლისას კოჩარიანმა განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მთიანი ყარაბაღის ხელისუფალთა შესაბამისი მიმართვის შემდეგ. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ სომხეთთან მთიანი ყარაბაღის შეერთების პრობლემის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას მთიანი ყარაბაღის ხალხის აზრი.

## გვარდიის სადავეები პრეზიდენტის შვილმა აიღო

ზაირში აჯანყებულებმა დაიკავეს ქვეყნის დედაქალაქი კინშასა. ქალაქის დაცემას ხელი შეუწყო რადიკალურად განწყობილი სამთავრობო გვარდიელების მიერ ზაირის თავდაცვის მინისტრის მაჰელიე ეოკოს მკვლელობამ, რომლებიც გენერალს აჯანყებულთა მიმართ სუსტი პოზიციის გამოვლენაში ადანაშაულებდნენ. ამჟამად სამთავრობო გვარდიის სადავეები პრეზიდენტ მაბუტუს ერთ-ერთმა შვილმა კანგულუმ აიღო.

# შესწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

### VI. უცხო სეპარატისტების ფაქტორი

ზემოთ დავახასიათეთ ის მრავალრიცხოვანი იურიდიული და ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლითაც გერმანიის პოლიტიკოსებმა შეძლეს ფედერალურ მოწყობაში ჩადებულ საშიშროებათა აცილება, სახელდობრ: ა) სახელმწიფო ერთიანობის დაშლისა და ბ) მართვის პარალიზაციის საშიშროებისა.

გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოში, არსებობს სახელმწიფოსადმი და მისი დამოუკიდებლობისადმი არაკეთილგანწყობილი მოსახლეობის მასები, რომლებიც მოინდომებენ ფედერალური წყობის გამოყენებას ორივე მიმართულებით - როგორც ცენტრისგან ფედერალური ერთეულის მაქსიმალური ჩამოშორების მიმართულებით, ისე თვით მართვის მაქსიმალური პარალიზაციის მიმართულებით, - რადგან ეს, თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენებს მართვის პროცესისაგან ცენტრის უფრო და უფრო ჩამოცილების საკითხის დასმას. შევეცადოთ თქმულის დასაბუთებას, ასე ვთქვათ, ზოგადი შემთხვევისათვის.

თუ ფედერალიზმი ნამდვილად ფედერალიზმია, ანუ ისეთ სუბიექტთა გაერთიანებაა გარკვეული პირობებით, ვისაც ყველა სხვა თვითიდენტიფიკაციათაგან დამოუკიდებლად ან მათთან ერთად თავთავისი თვითიდენტიფიკაციაც აქვთ, და თუ ეს თვითიდენტიფიკაცია დადებითი ღირებულებრივი ინდექსის მატარებელია (ანუ მე მიღირს ის ერთეული, რომელთანაც ვაიგივებ თავს), - თუ, მაშასადამე ეს ფედერალობა არაა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკური საშუალება (იარაღი) იმისთვის, რომ ერთი სულისკვეთების, ერთი მიზანთსახვის, ერთი ამოსავალი კოლექტიური მენტალობის (ანუ ერთი თვითიდენტიფიკაციის) მქონე ადამიანთა მასის მართვაში შრომის განაწილების ოპტიმალური წესი იქნას გამოყენებული, - მაშინ ეს ფედერალიზმი გულისხმობს სხვადასხვა ნებათა კომპრომისს და, მაშასადამე, მათს დაპირისპირებულობასაც ამა თუ იმ სფეროში. ცხადია, კომპრომისს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ნებათა დაპირისპირებულობა არსებობს. სახელმწიფოში ასპარეზის შექმნა მეორე, მესამე და შემდგომ ნებათათვის, რომლებიც ერთსა და იმავე საგანზე არიან მიმართული, მაგრამ სხვადასხვა მხრისკენ (ამ შემთხვევაში ეს საგანია ტერიტორია და უფლებები მის მიმართ), გარდუვალად განაპირობებს თვით ამ ნებათა გაჩენას (თუ აქამდე არ არსებობენ), გაძლიერებას და აქტუალიზაციას, რის შედეგადაც იწყება მათი კომპრომისის ანუ (დროებითი) ურთიერთგარიგების ძიება. ამ ზოგადი შემთხვევის ერთი კერძო ქვეტიპი - ძირითადად ერთი სულისკვეთების მოსახლეობაში ახალი ტერიტორიული დიფერენცირების შემოტანა - ზემოთ უკვე ვახსენეთ. მაგალითად, თუ საქართველოში შეიქმნა კახეთის პროვინცია და მოხდა მის მიმართ უფლებათა განაწილება თელავსა და თბილისს შორის, ეს შექმნის თელავურ ნებას, რომელიც შევა ან არ შევა კომპრომისში თბილისურთან. მაგრამ თუ იგივე მოხდა არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიაზე (ანუ ისეთ მოსახლეობასთან, რომლის თვითიდენტიფიკაციის ძირითად ნიშანს არა აქვს შეხვედრის წერტილები ქართველებისასთან), მაშინ იმავე მექანიზმით გაჩენილი ან აქტუალიზებული ადგილობრივი ნება (ვთქვათ, წალკის რაიონისა) გაცნობიერდება არა როგორც „წალკური ნება", არამედ როგორც „ბერძნული ნება" (რაკი წალკაში მოსახლეობის უმრავლესობა ბერძნულია), ანუ როგორც საქართველოსთვის გარე ძალაზე ორიენტირებული, ან მისდამი კერძო მიდრეკილების მქონე, ან მის მიერ რაღაცა ზომით თანაგანსაზღვრული ნება, რაც, რა თქმა უნდა, გზას უხსნის სახელმწიფოს ქმედუნარიანობის შემცირებას.

### VII. ევროპული ფედერალიზმის ფაქტორი

დასასრულ, უნდა გავითვალისწინოთ როგორც გერმანული ფედერალიზმის ევოლუციის, ისე საქართველოს ფედერალიზაციის გეგმის გაჩენის ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი - ევროპის ტენდენცია ინტეგრაციისკენ და მის ქვეყანათა ურთიერთობის განვითარებისკენ ფედერალიზმის მიმართულებით. ევროპის ევოლუციას ფედერალიზმისკენ განაპირობებს ამ კონტინენტისთვის შინაგანი ფაქტორიც, კერძოდ, მისი დიდი ერთიანობა კულტურის, ცხოვრების წესის, ღირებულებათა სისტემის და მსოფლიოს მიმართ ლიდერული პოზიციის ქონის მხრივ, და გარეგანი ფაქტორიც, კერძოდ, მისი მშვიდობიანი თავდაცვა რესურსებით უფრო მდიდარი ოკეანისგაღმური ინდუსტრიული ცივილიზაციების მეტოქეობისაგან. მისი ანალოგიური შეიძლება იყოს, ვთქვათ, კავკასიური ფედერალიზმი. რაც შეეხება საქართველოს ფედერალიზაციის გეგმას, იგი ევროპის ამ სიახლესთან დაკავშირებულია არაპირდაპირი გზით. კერძოდ, რუსულ იმპერიას, რომელმაც მონარქიის დანგრევის შემდეგ ერთხელ უკვე გადაირჩინა თავი იმ დროს მზარდი და პერსპექტიული კომუნისტური წყობისა და იდეოლოგიის გამოყენებით, ამჯერადაც, კომუნიზმის გაკოტრების შემდეგ, კიდევ ერთხელ სურს თავის გადარჩენა დღეს პერსპექტიული ახალი პრინციპის - სახელმწიფოთშორისი მრავალმხრივი ეკონომიკური, ადმინისტრაციული და ყოფითი ინტეგრაციის პრინციპის-გამოყენებით. რუსეთის პოლიტიკის მგეგმავებს ამ საბაბით უნდათ საბჭოთა კავშირის აღდგენა ყოფილი კოლონიების (რესპუბლიკების) ურთიერთფედერირების ფორმით, რაც ნათლადაა გამოკვეთილი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" დასაბუთების ყველა ცდაში, რაც კი გამოქვეყნებულია დღემდე (და რაც, რაღა თქმა უნდა, აბსურდია, რადგან ყოფილ სსრკ ქვეყნებს არც ინტერესები აქვთ საერთო, არც ლიდერული მდგომარეობა, რომელსაც დაცვა სჭირდება, და არც პოზიტიური ღირებულებათსისტემა. ერთმანეთში საერთო მათ მხოლოდ უარყოფითი ღირებულებები აქვთ, როგორიცაა სიღარიბე, საუკუნოვანი დიქტატურის გამოცდილება და სხვა). მაგრამ, გარდა ამისა, გარეგნულად თითქოსდა უძალადო (არაძალადობითი) სახელმწიფოთშორისი ფედერირების ბაზად რუსეთის მიერ დაგეგმილია თვით იმ ერთეულთა (ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა) შინაგანი ფედერალიზაციაც, რომელთა „თანამეგობრობის" შექმნასაც იგი ესწრაფვის. ასე რომ, საქართველოს ფედერალიზაციის რუსულ გეგმას ერთი მიზანი კი არა აქვს, არამედ ორი - საქართველოს დასუსტება და მის ყელზე რუსეთის ხელის დადება, ერთის მხრივ, და მისი შინაგანი მომზადება ახალ იმპერიულ „ფედერაციაში" მონაწილეობისათვის მეორეს მხრივ.

რით არის დაკავშირებული ქვეყნის შინაგანი ფედერალურობა მისი მონაწილეობის შესაძლებლობებთან ქვეყანათა ახალი, დიდი ურთიერთფედერირების პროცესში, ეს აპრიორულად ნათელი არ არის. ფედერალიზმის გერმანელ მომხრეებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ შინაგანი ფედერალიზაცია არა თუ ხელშემწყობი ფაქტორია, არამედ პირობაცაა წარმატებული მონაწილეობისათვის გარე ფედერირების პროცესში (თუმცა ევროპის ფედერაციაში მონაწილეობისკენ სხვა, არაფედერირებული ქვეყნებიც, მაგ. საფრანგეთი წარმატებით მიდიან: საერთო ბაზარი, საბაჟო თავისუფლება, ევროპარლამენტის შექმნა...) და თუმცა თვით გერმანიაში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ფედერალიზმის პრინციპის მოქმედება ლანდების („მიწების", „ქვეყნების") დონეზე დაბლა არ ჩამოდის, რომელთა უმეტესობა თავისი მასშტაბით საქართველოს ტოლია ან მასზე დიდია.

გერმანელი პოლიტიკოსების ზემოხსენებული ნაწილის თეზისს (რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალისით ღებულობს შეიარაღებაზე რუსული იმპერიული პოლიტიკა) - რომ ქვეყნის ფედერალურობა შიგნით ხელს უწყობს მის მონაწილეობას ფედერირების პროცესში გარეთ - თავისი ლოგიკური ინფრასტრუქტურა აქვს, რაც თუნდაც იმ ფაქტიდან ჩანს, რომ გერმანიაში ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ხმების ყველაზე დიდი პროცენტი მიიღო გეგმამ, რომ ევროპარლამენტის არჩევა ხდებოდეს პირდაპირი ხმისმიცემით და არა პარლამენტთაგან დელეგატთა გაგზავნის ფორმით. არც ისაა საეჭვო, რომ ევროპაში ქვეყანათა ფედერირების პროცესის განვითარების შემთხვევაში გერმანიის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა პოტენციალი მძლავრად წამოწევს წინ მის როლს ამ კონტინენტზე. აქვს თუ არა აქვს მოყვანილ თეზისს საკმარისი ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სტრატეგიული თუ სოციოლოგიური არგუმენტაცია, რუსეთის ზემოხსენებული გეგმისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა მხოლოდ პრეცედენტი დემოკრატიული ქვეყნების ამ წესით ურთიერთინტეგრირებისა, რათა იგი საბაბად ჰქონდეს იმპერიის აღდგენისა და რეინტეგრაციისათვის. საქართველოსთვის ჯერ ღიაა როგორც საკითხი, ენდომება თუ არა მას ოდესმე ფედერირება სხვასთან (ვთქვათ, იმავე ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებულ ქვეყნებთან), ისე საკითხი, არის თუ არა შინაგანი ფედერირება ხელშემწყობი ფაქტორი გარეგანისათვის. საერთოდ, ამ კავშირის რაიმე მექანიზმები, ვიმეორებ, არ ჩანს. ასე რომ, გერმანელ ფედერალისტთა ერთი ძირითადი არგუმენტი თავისი ქვეყნის ფედერალური მოწყობის სასარგებლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის არ მუშაობს. ამ მიმართულებითაც საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა ემყარება, რბილად რომ ვთქვათ, არამეცნიერულ (ანუ ანალიზს მოკლებულ), არსებითად კი ანტიმეცნიერულ საფუძველს (ანუ მეცნიერების საშუალებათა გამოუყენებლად ისეთი საკითხის გადაჭრას, რომლის გადაწყვეტასაც მეცნიერული ანალიზი სჭირდება).

### VIII. დამატება „კოოპერატიული" ფედერალიზმი გერმანიაში

გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, მისი დებულება, რომ „გფრ არის დემოკრატიული და სოციალური ფედერაციული სახელმწიფო (Bundesstaat)" მარადიულია. მისი შეცვლა დაშვებული არ არის. უმაღლესი ორგანოა ბუნდესტაგი (ფედერაციის პარლამენტი), რომლის კანონთა გარკვეული კატეგორიისთვის საჭიროა მათი მიღება ბუნდესრათის (ფედერაციის საბჭოს) მიერაც. ეს უკანასკნელი დგება არა პირდაპირი არჩევნებით ფედერაციის სუბიექტთა მოსახლეობის მიერ ან დელეგირებით ქვეყნების პარლამენტთა (ლანდთაგთა) მიერ, არამედ იგი კომპლექტდება მთავრობათა წარმომადგენლებით. ბუნდსა და წევრებს (ანუ ფედერაციასა და მის სუბიექტებს) შორის არის დავალებათა განაწილება - ე.წ. „ვერტიკალური განაწილება ხელისუფლებისა". ფუნქციათა ამდაგვარი განაწილება „მართვის ფედერალიზმის" სახელით აღინიშნება. რამდენადაც ბუნდი და „ქვეყნები" ამ გზით ავსებენ ერთმანეთს და შეწყობილ ურთიერთთანამშრომლობას (Zusammenarbeit) აღწევენ, ამას ანალიტიკოსები „კოოპერაციულ ფედერალიზმს" უწოდებენ. გერმანიის ეს სპეციფიკა - ცენტრის და ფედერაციის სუბიექტების უფლებამოსილებათა დანაწილება ფუნქციათა სახეობის მიხედვით და არა დონეების მიხედვით - ჩანს თუნდაც აშშ ფედერალიზმის ფონზე, რომელსაც ანალიტიკოსები „კონკურენციული" ფედერალიზმის სახელით აღნიშნავენ და რომელშიც უფლებამოსილება გარჩეულია სხვადასხვა დონეებისათვის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების განაწილების პრინციპით (ოშაცი, ციტ: შრ. გვ. 111-112).

უფლებამოსილებათა და ფუნქციათა ზემოაღწერილი განაწილება თითქოს ლოგიკურად აიძულებს თვითონ მდგომარეობას, რომ ნაყოფიერი კოოპერაციისკენ განვითარდეს (როგორც ეს გერმანიაში მოხდა). მაგრამ ამ მოჩვენებითმა ავტომატიზმმა არ უნდა შეგვიქმნას იმის ილუზია, თითქოს ანალოგიური საკანონმდებლო სვლებით შეიძლებოდეს საქართველოშიც ავიცილოთ ფედერალიზმით გამოწვეული სახელმწიფოებრივი დეზინტეგრაციის ის გარდუვალი ხიფათი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. აღწერილი საკანონმდებლო ვითარების რამდენიმე დეტალის გათვალისწინება ნათლად გვიჩვენებს, რომ ღირებულებრივი ორიენტაციები, მათი მოშლა-მოუშლელობის ფაქტორები და მათი გადამწყვეტი როლი ქვეყნისა და ერის მთლიანობის შენარჩუნებაში ამით არ იცვლება.

კერძოდ:

- ზემოთ ვთქვით, რომ ბუნდის საკანონმდებლო უფლებათა რაციონალური გაფართოება „მიწების" თანადგომით მოხდა. ეს ქვეყნის ინტერესებისკენ მიმართულ იმავე ღირებულებათსისტემას გულისხმობს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

- ვინაიდან ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლები ქმნიან ფედერაციის საბჭოს (ბუნდესრათს) საკანონმდებლო ფუნქციებით, რომლის გარეშეც კანონების გარკვეული კატეგორია ვერ მიიღება, მას შეუძლია კანონმდებლობის პარალიზება; ვინაიდან კანონის გატარება (ანუ მართვა) ფედერაციის სუბიექტთა ხელშია, მათ შეუძლიათ აგრეთვე მართვის (ან: ცენტრისათვის სასურველად, მის კანონების სულისკვეთების შესაბამისად მართვის) პარალიზება. თუნდ არ შეძლოთ, პარალიზების მცდელობა, როგორც მინიმუმი, მაინც გამოიწვევს შეუსრულებელი ამოცანის - კანონში ყველა შესაძლო წინააღმდეგობის და საბოტაჟის ყველა შესაძლო ფორმის გათვალისწინების ამოცანის - გაჩენას.

- დასასრულ, მათ შეუძლიათ კოოპერაციის ყოველდღიური პროცესის მოშლაც, ზემოთ ციტირებული შმიდი (ციტ. შრ. გვ. 259), აღწერს რა ფუნქციათა რეალურ განაწილებას „კოოპერაციული ფედერალიზმის" სისტემაში, წერს: „ამ ნორმების ჯიუტი დაცვა შეუძლებელს გახდიდა ზოგ რამეს, რაც აუცილებელია. ბუნდი დაკარგავდა ზოგ ქმედუნარიანობას, რომელიც მისი არსებობისათვის და ერის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელია. სინამდვილეში კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე განვითარდა აქა-იქ ხერხთა სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის ბუნდესტაგისთვის, რომ იფუნქციოს, ზოგჯერ ლეგალობის გვერდის ავლითაც კი".

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №40,41,42,43,44,45.

# თუ ასე გაგრძელდა, შთამომავლობას უზნეობის უფსკრული შეიწირავს

## ანუ ფიქრები განათლების სისტემის რეფორმის ფუნდამენტალური საფუძვლების შესახებ

I. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲛ უნდა გაანთავისუფლოს ადამიანი თვითდამონებისაგან, სიხარულს მოკლებული იმ მდაბალი აზრების, გრძნობებისა და თვისებებისაგან, რომლებიც ხასიათსა და ფსიქიკაში გადასვლის შემდეგ წამლავენ კაცობრიობას. ეს მიზანი არც ერთ განათლების სისტემას არა ჰქონია ძირითად პრინციპად და მიზნად აღიარებული. ამიტომ მისი თანამიმდევრული და ცხოვრებაში კეთილსინდისიერი გატარება მოზარდთა მადლიან გონებაში მოიტანს პიროვნული ჰარმონიისა და მშვიდობის შემოქმედების ნაყოფს. განა შეიძლება მსჯელობა მშვიდობაზე მათ შორის, ვინც თვითონაა სავსე სისასტიკითა და უხეშობით? საკმარისია ასეთ „მშვიდობის მაძიებელს" დავაკვირდეთ თავიანთ შინაურ გარემოში და იოლად წარმოვიდგენთ, როგორ მსჯელობენ ისინი სხვებზე და მათ საქმიანობაზე, რა შზამიანია მათი ხუმრობა და ჭორი და რა გასაკვირია, რომ მშვიდობისათვის ისინი სრულიად უვარგისნი არიან. მაგრამ მაინც არავის ადარდებს ზნეობის დონე იმ ადამიანებისა, რომლებიც მთელი ერებისა და მსოფლიოს ბედ-იღბალს მრგვალ მაგიდებთან წყვეტენ. არავის უნდა გაიგოს, რომ სიბინძურე სისუფთავეზე ვერ იზრუნებს. აი, ამიტომაა საჭირო უპირველესად ყოვლისა ზნეკეთილი თაობის აღზრდა და განათლების ძირითადი პრინციპის მიღწევა.

II. განათლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ორიენტირებული ინფორმაციის სიუხვეზე ან მის ორიგინალობაზე. საჭიროა ნათლად გავისაზროთ, რომ ინფორმაციის ყოველი ღირებულების ზე ძევს ის უმთავრესი, რისთვისაც საერთოდ არსებობს განათლება, – ვასწავლოთ ადამიანს აზროვნება და მაშინ აზროვნების უნარი და სწორად შერჩეული ინფორმაცია აღზრდის თაობას ფართო, შეუზღუდველი მსოფლმხედველობით. მომავალში ეს თავიდან აგვაცილებს დოგმატიზმს, სხვისი აზრის მიუღებლობას, კონფლიქტებს და ა.შ.

III. განათლების არსი, – კონცენტრაციის, ყურადღების, დაკვირვების უნარის აღზრდაში მდგომარეობს, რაც საბოლოოდ სიტყვის არსის წვდომას მოგვიტანს. ამგვარად, განათლების სისტემამ კონცენტრაციის უნარი და მიუკერძოებლობა უნდა გაავითაროს, რათა საჭირო შემთხვევისათვის საჭირო ფაქტების შეგროვების უნარი შეიძინოს ადამიანმა. ამ იარაღის ფლობის მეშვეობით იგი ერთხელ და სამუდამოდ გაექცევა ისეთ შემზღუდველ მცნებას, როგორიცაა პროფესია.

IV. პირველი პროფესია, რომელსაც უნდა დაეუფლოს თანამედროვე და მომავლის ადამიანი, არის ექიმის პროფესია. სამედიცინო ცოდნა საყოველთაო ცოდნად უნდა გარდავაქციოთ და ექიმი სწორი სიცოცხლის მოძღვრად მოგვევლინება. ასე იყო ლემურიისა და ატლანტიდის ეპოქებში. ასე უნდა გახდეს დღეს.

V. ადამიანს უნდა ვასწავლოთ ზრდა მხოლოდ თავისი შინაგანი ბუნებიდან და მაშინ ვასწავლოთ მას ერთადერთი გზა უფლისაკენ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება იგი სრულყოფილი. გზები საამისოდ მრავალია.

VI. განათლების პროცესი რთულია თავისი წყობით, ტევადია დროის თვალსაზრისით და ამიტომ განათლების რეორგანიზაცია დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. მომავალი თვითონ შეიტანს თავის კორექტივებს და თვითონვე დასვამს საჭირო აქცენტებს, მაგრამ, როგორც ითქვა, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ახლებური სწავლა, რადგან უსულობამ პლანეტარული მასშტაბი მიიღო და კაცობრიობას მრავალი ახალი სნეულება ემუქრება. ყოველი დაყოვნება სიკვდილის ტოლფასია.

1. განათლება უნდა ზრუნავდეს იმ საკითხებზე, რომელთა მეშვეობითაც დაუბრუნდება ერი თავის სულიერ საწყისს, – ძმობას. სისხლით ცდილობდნენ ადამიანები ძმობის დამკვიდრებას და სწირავდნენ მას ამ უძვირფასეს ნივთიერებას. მაგრამ ზუსტად ძმობის მცნებაა დღეს განსაკუთრებულად დაცემული და შერყვნილი. უნდა მოვკრიბოთ ყოველი საგმირო საქმე ძმობის ერთიან პოემად, რომ სკოლიდანვე განვითარდეს ეს უძვირფასესიეროვნული თვისება მომავალ თაობებში. შრომა, სიყვარული და ძმობა ერთ აკვანში იზრდებიან.

2. საჭიროა გმირობის, თავდადების, ერთგულების თანმიმდევრული აღზრდა. იყო მზად თავგანწირვისათვის, არ ნიშნავს აუცილებლად თავის განწირვას, მაგრამ ამგვარი მზადყოფნა ამაღლებს ადამიანს და გმირულ სულისკვეთებას უნერგავს მას.

მეცნიერებმა უკვე შეამჩნიეს, თუ როგორ შედის ადამიანის პიროვნება გმირთა პანთეონში. ასევე იქმნება კაცობრიობის მოძღვართა თვისებები. თუკი ისინი თვითონ არ იწვნიან მიწიერ ტანჯვას, როგორ აღიქვამენ ადამიანთა ტკივილს. თუ საკუთარ ოფლს არ ჩაღვრიან შრომაში, როგორღა უხელმძღვანელონ მათ შრომას. თავგანწირვა, სათნოება, თანაგრძნობა და ვაჟკაცობა ცხოვრებაში იჭედება. ვერაფერი განყენებული სულის ძლევამოსილებას ვერ შექმნის. ასე უნდა გავიგოთ გმირი, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი. მხოლოდ ნუ დავივიწყებთ, თუ როგორი შრომა ესაჭიროება აღნიშნულ მიღწევას.

3. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ხელოვნების სწავლებას სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

ა) განვაახლოთ ისეთი ხელოვნება, როგორიცაა კალიგრაფია;

ბ) შემოვიღოთ ორთაბრძოლების ხელოვნების სწავლება;

გ) ახალი ეპოქა შემოდის და ამიტომ განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს მისტერიების აღდგენა, მითებისა და ლეგენდების რეაბილიტაცია არა მარტო როგორ ცოდნისა და ინფორმაციის წყაროდ, არამედ როგორც ფასდაუდებელი მოქმედების პროგრამებად. დროა გავიგოთ, რომ მატერიალისტურმა ცივილიზაციამ გზა უნდა დაუთმოს სულიერ ცივილიზაციას, რაც მისტერიის, მითებისა და ლეგენდების გარეშე ძნელი წარმოსადგენია. მითი ხომ წარსულის ერთად შეკრებილი ცოდნა და რწმენაა ჩვენს სახელმძღვანელოდ ჩვენთვის ნაანდერძევი. იგი ახალი გაცხადების საფუძველია, მომავალი ჭეშმარიტების ქვაკუთხედი. მითი არის დასაბუთებული, დამტკიცებული ჭეშმარიტება, რომელიც თანმიმდევრულად აკავშირებს წარსულში მიღებულ ცოდნას, ჭეშმარიტების არსებულ ფორმას და მომავლის უსასრულო ღვთაებრივ შესაძლებლობებს. წარსულის მითები და ძველი მისტერიები ღვთიური ამბის მომტანნი არიან ისე, როგორც აწვდიდა მათ უფალი კაცობრიობას ოდითგან ადამიანის მოთხოვნილებების შესაბამისად. ერთი საუკუნის ჭეშმარიტება მეორეში მითად გარდაიქცევა, მაგრამ მისი მნიშვნელობა და რეალობა ხელშეუხებელი რჩება. და მხოლოდ ახლებურ ინტერპრეტაციას ითხოვს ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში.

დ) საჭიროა ლოცვის სისტემებისა და პრაქტიკის სწავლა და დანერგვა, როგორც ღვთიური სიტყვის მეცნიერებისა. აღმოვუჩინოთ ახალ თაობას ეროვნული სიტყვის ძლევამოსილება კეთილი და ამაღლებული ლოცვის სახით, როგორც სამყაროს უფლის უზენაესი ჯილდო, – საკუთარი უკვდავების კანონი!

ე) რელიგია. რელიგიის შესწავლა, მისი შინაარსისა და დებულებების განმარტება. ქრისტიანული სარწმუნოების ორი ქვაკუთხედის გაცნობიერება.

1. უწყვეტი და უდიდესი გაცხადება ქრისტესი – მატერიალურ ღირებულებათა ამაოება, რასაც უნდა შეესაბამებოდეს და შეესაბამება კიდეც ქრისტიანობა.

2. ქრისტიანობა არის ცოდვილი წარსულის დასრულება, მისი დამთავრება და ზნეკეთილი მომავლის ქვაკუთხედის ჩადება. ეს უნდა მოთავსდეს მოსწავლის ყურადღების ცენტრში, რათა ღვთიური ჭეშმარიტების გაცხადებისას შეუმჩნეველი არ დაგვრჩეს იგი და არ ჩავუაროთ მათ გვერდი. მაშინღა გახდება შესაძლებელი მზარდი ქრისტიანული სიბრძნის წვდომა, გამოვლინდება ქრისტიანობის შინაგანი არსი, წავა გარეგანი და უმნიშვნელო, აღმოიფხვრება ყოველი დაპირისპირება.

3. ყოველმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ განათლებას ღებულობს საკუთარი ტანჯული ხალხის ხარჯზე, ეროვნული და საკაცობრიო სიბრძნის საგანძურიდან, და ამიტომ იგი ვალდებულია მთელი მონდომებით ისწავლოს, რათა შემდგომ ემსახუროს საკუთარ ერს და კაცობრიობას. საამისოდ მას უნდა მიეცეს საჭირო დარიგება კეთილი და დადებითი თვისებების შესაძენად და ყოველთვის უნდა შევახსენოთ დიად







ადამიანთა მაგალითებზე, რომ არ არსებობენ პატივსაცემი ადამიანები, არამედ არსებობენ პატივსაცემი თვისებები და რომ ყოველი კეთილი თვისებების მქონე გამხდარა საკუთარი ერის თუ კაცობრიობის მოძღვარი. ეს მას კეთილი თვისებების შეძენის აუცილებლობას მიანიშნებს.

4. მედიცინა. მედიცინა იმ საჭირო ცოდნის რაოდენობით, რაც ესაჭიროება ყოველ ადამიანს, საყოველთაო ცოდნად უნდა გარდაიქცეს. ლემურიისა და ატლანტიდის ეპოქებში მედიცინას უნივერსიტეტებში ასწავლიდნენ ყველას. ასე უნდა გახდეს დღეს ჩვენს არიელთა ეპოქაში და უფრო მეტიც. სამედიცინო ცოდნა უნდა მივცეთ ბავშვებს დაწყებითი კლასებიდანვე. რა თქმა უნდა, სიტყვა მედიცინა ამ შემთხვევაში გულისხმობს მეტს, ვიდრე მასზე არსებული დღევანდელი წარმოდგენები. ჯერ კიდევ ასი წლის წინ მოწინავე ქვეყნების უნივერსიტეტებში ისწავლებოდა აღმოსავლური ფილოსოფია – იოგა.

დღეს უკვე არავის აკვირვებს ჩინური მედიცინის პრაქტიკა, მერიდიანების მცნება და სხვა, ამ ახალი სამედიცინო დარგის ტერმინოლოგიიდან, მაგრამ როგორ შეიძლება ევოლუციას ვლებულობდეთ მხოლოდ ცალსახად და არა სრულად. ფსიქიური ცენტრები და სულიერი არქიტექტონიკა არის იგივე ჩინური მედიცინის ევოლუციური საფეხური. და თუ ჩინური მედიცინის გარეშე დღეს შეუძლებელია მედიცინის სისრულეზე საუბარი, უკვე დღესვე და მითუმეტეს ხვალ მედიცინა ფსიქიური ცენტრებისა და სულიერი არქიტექტონიკის გარეშე ასევე წარმოუდგენელია. საჭიროა უბრალოდ ამ ჭეშმარიტების ისევე სასწრაფოდ დანერგვა, როგორც ეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩინურ მედიცინას შეეხო. ადამიანის გონება, როგორც იქნა, საყოველთაოდ ილვიძებს, ყველაზე განუვითარებელი რასებიც კი ლებულობენ განათლებას, რაც თავისთავად იწვევს გონების გახსნას. კეთილი ნება მიიჩნევა მსოფლიოს დაახლოვების ერთადერთ აუცილებლობად და ადამიანები აღმოაჩენენ, რომ თურმე არავინ ცოცხლობს საკუთარი თავისათვის, ისევე, როგორც არცერთი ერი არ ეკუთვნის საკუთარ თავს. ადამიანები ხვდებიან, რომ უბრალო სალი აზროვნებისა და სიბრძნის თანახმად საჭიროა ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საყოველთაოდ მთელს დედამიწაზე. განვითარებული ერები ასრულებენ ამას და როდესაც საბჭოთა კავშირმა ამ ფუნქციას უღალატა, დაიშალა კიდეც. ეს ახალი, ხალასი და იმედის მომცემი მიდგომაა საკითხის მიმართ და უპირველესი სიკეთე ხომ ჯანმრთელობაა? ადამიანები დღეს სწავლობენ ერთმანეთში ძმობას. ერები მიისწრაფიან ერთმანეთის კონტაქტის მიღწევისაკენ და მისი გაღრმავებისაკენ. შეუმჩნევლად შეიქმნა მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეთა ერთობლიობა, რომლებიც უკვე არამარტო თავიანთი სახელმწიფოების, არამედ სრულიად საკაცობრიო საკითხებით არიან დაკავებულნი და ცდილობენ ყოველი ადამიანის ბედიღბალს ჩაწვდნენ. ყველგან დაძაბულია აზრი, მიმდინარეობს შეფასება ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ფასეულობებისათვის ბრძოლა. რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არა კაცობრიობის გაღვიძებული სულის სწრაფვას აღმოფხვრას სნეულებანი მთელს დედამიწაზე, დაზიანებულ უბნებს დედამიწაზე დაუბრუნოს სიმშვიდე და ჯანმრთელობა და მოსპოს ყოველი დაძაბულობა როგორც ერებს, ასევე პიროვნებას შორის. განა იგივეს არ ცდილობს სულიერი ადამიანი, როდესაც სხეულის ჯანმრთელობისათვის იბრძვის, განა იგივეს არ აკეთებს მკურნალი, როდესაც სხეულის ჯანმრთელობისათვის იბრძვის, განა იგივეს არ აკეთებს მკურნალი, როდესაც სხეულს განკურნებაში ეხმარება?!

ასე რომ, სულიერი არქიტექტონიკის შესაბამის ცოდნას, სამედიცინო ცოდნის თვალსაზრისით, ფართო ადგილი უნდა დაეთმოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და საყოველთაო სამედიცინო განათლება მიგვაახლოვებს ჭეშმარიტ თავისუფლებასთან და ჭეშმარიტ ფასეულობებთან, ისევე როგორც სულთან.

5. აღზრდა. ჭეშმარიტებაა, რომ სიყვარული და სიბრძნე არიან ღვთის ნების გამოხატვის უდიდესი შედეგები და მოქალაქის აღზრდა, ისევე როგორც მამულიშვილს აღზრდა, ამ სამყაროსეულ ფუნდამენტალურ მცნებას, ღვთის ნების განმარტების რეალიზაციას უნდა ემსახურებოდეს. სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში უნდა დავაწესოთ გაკვეთილები ამ საკითხის მიმართ იმ შინაარსის ტევადობის გათვალისწინებით, თუ რა ასაკთან გვექნება საქმე. ჩვენ უნდა მივაწოდოთ მოსწავლეს ცოდნა წარსულ ჭეშმარიტების გაგრძელების სახით და თუ თანამედროვეთა გონებაში ეს ცოდნა ვერ მოიკიდებს ფეხს, უმჯობესია შეგნებულად აუარონ გვერდი, რადგან ახალი ჰიპოთეზებისა და თეორიების მიღების შედეგად იხსნება გონება და ყოველი აღმოაჩენს, რომ მისგან ასე დაფასებული „ძველი" ჭეშმარიტება კი არ დაკარგულა, არამედ მან „ცოტა" გადაინაცვლა და უფრო ვრცელსა და ფართო სისტემაში თავისი ნამდვილი ადგილი დაიკავა.

საკითხი ეხება სკოლიდანვე ბავშვთა იმ პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას, რომელიც ელის ყოველ ოჯახის შექმნის შემდეგ. მტკიცეა ჭეშმარიტება, – „ოჯახიდან იწყება სახელმწიფო, მისი უძლეველობა და ამაღლება". ოჯახის მიზანი და ნაყოფი – შვილია, რომელზედაც ასეა გამახვილებული ჩვენს წინაპართა ყურადღება: აღზარდე შვილი „მიეც ძალა სულს", – ამბობს დიდი ილია, ჩვენი წარსული ეროვნული პედაგოგიკის ერთ-ერთი უდიდესი და, სამწუხაროდ, ასევე ერთ-ერთი ბოლოთაგანი ფხიზელი პედაგოგი. ჩვენ დავკარგეთ ეროვნული პედაგოგიური ტრადიცია და დასავლეთის „ექსპერტები" ცდილობენ ჭკუა გვასწავლონ ჩვენ, როდესაც ჭეშმარიტ პედაგოგიკას ჩვენს ისტორიულ წარსულში უნდა სწავლობდნენ თვითონ. მათ ცივილიზაცია მოგვიტანეს და ცივილიზაცია კულტურა არ გახლავთ. ჩვენ შეცდომით გადავღვარეთ წყალი და „ბავშვი", – ეროვნული პედაგოგიური კულტურაც ზედ მივაყოლეთ. თვითონ განსაჯეთ, საყურადღებოა ის, რომ ადამიანური სიბინძურე და უბედურება მრავლადაა მიმობნეული ადამიანთა ცნობიერების გზაზე და „ავგიას საჯინიბოს" სიმყრალითაა აქოთებული დღევანდელი მსოფლიოს ლიტერატურის მრავალი ნავსაყუდელი და ეს ყველაფერი უსინდისოდ ინილბება კანონიერი კულტურის სახელწოდებით. ჩვენი ეროვნული ლიტერატურა კი წარსულში მსოფლიო უზენაეს კულტურასა და ზნეობრივ სიწმინდეს ასახავს.

თუ ჩვენ არ გამოვფხიზლდებით და არ დავინახავთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაშინ ჩვენი დღევანდელი არსებობაც კი უაზროა, რადგან ჩვენ, შესაძლოა, შვილიშვილების დაცვა მოვახერხოთ, მაგრამ შვილთა შვილიშვილებს უზნეობის უფსკრული შეიწირავს. თავისუფლება არაა აღვირახსნილება. დემოკრატია არაა კანონის უპატივცემულობა. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება იმისათვის კი არაა გამოცხადებული, რომ განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭებინათ ახალგაზრდობის სულისა და გონების გამრყვნელთათვის. ამას, რა თქმა უნდა, არ ძალუძს განათლების მიზნის, – ღვთაებრივი წილხვედრის მიზნის მიღწევა. კნინდება ბავშვების ცნობიერება, ფსიქიკა და ყოველი ახალი თაობა რაღაც ახალ სიმახინჯეს იძენს – მზარდი თანმიმდევრობით: ხულიგნობა, ბანდიტიზმი, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი... რა იქნება შემდეგი სიმახინჯე?! ხომ არაა დრო, შევწყვიტოთ აღნიშნული „ევოლუცია"?!

და ბოლოს ის, რაც არსით პირველია, – პედაგოგისა და ექიმის, როგორც მომავლის შემოქმედთა განსაკუთრებული აღიარება. სახელმწიფო სექტორში მომუშავე აღნიშნულ პროფესიებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს. ეს ყურადღება ორი ნიშნით აღინიშნება:

პირველი, – მათი უმაღლესი კვალიფიკაცია.

მეორე, – მათი სრული მატერიალური უზრუნველყოფა.

**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**

*შემეცნებით-საგანმანათლებლო გვერდი*

# შეიძლებოდა თუ არა გიორგი პირველი ყოფილიყო ტირანი?

XI–XII სს. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომლის შემდგომი განვითარება ამ წყობილების რღვევით და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრების გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო, განაპირობა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მოძღვრებების წარმოშობა, რომლებიც გამოხატავდნენ საზოგადოებაში მებრძოლ კლასთა ინტერესებსა და მისწრაფებებს.

აქე რომ, „თუ დიდგვაროვანთა ბრძოლა ბაგრატ III-ისა, ბაგრატ IV-ისა და დავით აღმაშენებლის მეფობის დროს აფერხებდა ქვეყნის გაერთიანების საქმეს და ამით ისტორიულ პროგრესს, გიორგი III-ის და თამარის ხეობაში სიტუაცია შეიცვალა. საქართველო გაერთიანდა და იქცა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ. შეიქმნა საშიშროება სახელმწიფოს (პოლიტიკური წყობილების) დესპოტიად გადაქცევისა" (გყურანაშვილი, პროფესია – ისტორიკოსი, გვ. 49–50).

ამ საყურადღებო დასკვნის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საკითხის აქე წარმოჩენისადმი ჩვენს ისტორიოგრაფიაში აშკარა გაუბედაობაა, და ეს, ალბათ, გასაგებიცაა, ვინაიდან, როგორც რიგითი მკითხველისათვის, მკვლევარისთვისაც ერთობ უჩვეულოა ფიქრი გიორგი III-ის ეპოქის სახელმწიფოში პოლიტიკური წყობილების დესპოტიად წარმოდგენისა. ეს მაშინ, როცა ისტორიის სწორედ ამ უბანზე ჩვენს მიერ უკვე განხილის თხრობაში შეუსაბამობა აშკარად შესამჩნევია. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობრიობა ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით ის საგულისხმო შემთხვევაა, რომელსაც სწორედ XII საუკუნის საქართველოში ჰქონდა ადგილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სიმდიდრით აღზევებულთა გამოსვლა ყუთლუ არსლანის მეთაურობით. მათი მოთხოვნით, საქართველოში კონსტიტუციური მონარქია უნდა დამყარებულიყო. აკად. ივ.ჯავახიშვილის აზრით, სიმდიდრით აღზევებულთა ამ გამოსვლას „სახელმწიფო წესწყობილებისათვის მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია... თამარის მეფობის დროს საქართველოში ე.წ. შეზღუდული მონარქია დამყარებულია." მართალია, ყველა მკვლევარი არ იზიარებს ამ მოძრაობის ამგვარი შედეგებით დამთავრების შესაძლებლობას, მაგრამ, სულერთია, როგორც არ უნდა იქნეს ეს პრობლემა გადაწყვეტილი, აღნიშნული მოძრაობა მუდამ იქნება ბრწყინვალე დოკუმენტი, დამადასტურებელი ქართული საზოგადოებრივი აზრის სიმწიფისა, რომელიც ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოითხოვდა არსებული სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლას კონსტიტუციური მონარქიით.

ამის შესახებ კონკრეტულად შემდგომ ვისაუბრებთ, ამჯერად კი გვინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ. ჯერ კიდევ XVIII ს–ში ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი შარლ ლუი მონტესკიო იკვლევდა იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ და იწვევენ მმართველობის ამა თუ იმ ფორმის ჯერ განმტკიცებას, შემდეგ გადაგვარებას და ბოლოს დაცემას. მისი აზრით, სახელმწიფოებრივი მმართველობის ყოველ ფორმას, ანუ სახეს აქვს თავისი გარკვეული პრინციპი, მამოძრავებელი იმპულსი რესპუბლიკის პრინციპი, ანუ მამოძრავებელი ძალაა სიქველე, მონარქისა – პატივი, დესპოტიისა – შიში.

დესპოტიას მონტესკიო თვლის მმართველობის ცალკე, დამოუკიდებელ ფორმად, რის შესახებ ჯერ ისევ მისი თანამედროვე ვოლტერი უსაყვედურებდა მას, რომ მისი კლასიფიკაცია ხელოვნურია, ვინაიდან მონარქია და დესპოტია ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ტყუპებიო.

აღნიშნულის მიხედვით, ან უნდა დავეთანხმოთ ვოლტერს, ან მონტესკიოს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქართველოს XI-XII საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრება მონტესკიოს თვალსაზრისის დასასაბუთებლად სწორედაც რომ სასურველ ნიმუშს წარმოადგენს.

მაგრამ რა შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო შეუზღუდავი მონარქია აბსოლუტიზმის მნიშვნელობით? როგორც ცნობილია, აბსოლუტიზმი ყველგან ჩნდება გარდამავალ ეპოქაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უმაღლეს დონეს აღწევს, როდესაც ძველი ფეოდალური წოდებანი იშლებიან, ხოლო შუა საუკუნეების მოქალაქეთა წოდება ყალიბდება თანამედროვე ბურჟუაზიულ კლასად.

XII-XIII სს–ების საქართველოში თუ იყო ასეთი ვითარება შექმნილი? როგორც ჩანს, იყო. დროის უწყვეტილი მონაკვეთისათვის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკმაოდ მძლავრი გარდატეხა ხდება. ეს იყო რენესანსი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი უბანი, სადაც არ შეჭრილიყო მისი ახალი, ცხოველმყოფელი სიო. რენესანსული განახლება პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას შეეხო.

მტრის რისხვად ქცეული ქვეყნისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების საჭიროება ახალი ერის დადგომის მაუწყებლად გამხდარიყო. ძველებური ცხოვრება ქართველ საზოგადოებას უკვე აღარ აკმაყოფილებდა და ყველგან მისი ახლებურად მოწყობის საჭიროება იგრძნობოდა. ადამიანი თავისი გრძნობებით, განცდებით და მოთხოვნილებებით თანდათანობით მაღლა სწევდა თავს. დადგა ისეთი ხანა, როდესაც ფეოდალიზმს დაჩიხულობის ნიშნები დაეტყო და მას, როგორც საზოგადოებრივი წყობილების ერთადერთ გაბატონებულ ფორმას, შეიძლება ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ადგილი უნდა დაეთმო ახალი, უფრო პროგრესული ვითარებისათვის.

ამ დროიდან საქართველოში ძლიერდება და მწვავდება წინააღმდეგობა კლასებს შორის, ხელისუფლების გამო მეფეებს, აზნაურებსა და „სიმდიდრით აღზევებულთა" შორის. ადამიანის აზრმა, გონებამ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი გზის ძიებისას, ფეოდალური ნორმებისა და სქოლასტიკური დოგმების გადასინჯვისას, აშკარად მეამბოხური ხასიათი მიიღო. ხოლო ერთ დროს ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებულობის მოწინააღმდეგე პროგრესული ელემენტი – სამეფო ხელისუფლება, კერძოდ, „ღვთის სწორი" მეფე, როგორც ფეოდალური წესრიგის დამცველი უწესრიგობაში, ამ აზრის დამთრგუნველად გამოვიდა. ამიერიდან ის თავის უსაზღვრო ძალაუფლებას, რომელიც ქვეყნის გაერთიანებამ შესძინა, არა საშობლოს ინტერესებისათვის, არამედ პირადი ინტერესებით იყენებდა, რაც, ცხადია, მხოლოდ სხვათა თავისუფლების ხარჯზე მოიპოვებოდა.

აი, რა დროს შეიძლებოდა მეფე გამხდარიყო ტირანი, ხოლო ადამიანი თავისი გრძნობებით, განცდებით და მოთხოვნილებებით მეამბოხე. ამის მკაფიო მაგალითს კი ჩვენ გიორგი III-ის მეფობაში ვხედავთ, რომლის გამეფება, ხოლო შემდეგ მის მიერვე საქართველოს ტახტზე ქალის აყვანა ფეოდალური საქართველოს სამართლის მცოდნეთა აზრითაც ტრადიციით განმტკიცებული წესის აშკარა დარღვევა იყო. ვინაიდან თუ ერთ შემთხვევაში გიორგი III აშკარა უზურპატორია, მეფის მეორე ქცევაში სახელმწიფოს მეთაურის ნაცვლად მხოლოდ მამის ტენდენციური მიდრეკილება მოჩანს, რომლის დარღვევაც მოტივის მხრივ არ გამოიყურებოდა მისაღებად. მითუმეტეს, რომ მას ჰყავდა ძმისწული „შვილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე".

თუ გიორგი III-ის მიერ გამოჩენილ სისასტიკეს აჯანყებულ დემნა ბატონიშვილის მიმართ, რასაც მოჰყვა ახალგაზრდა უფლისწულის თვალების დათხრა, დასაჭურისება, ხოლო შემდეგ სიკვდილი, მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორების ჩვეულ შემთხვევად მიიჩნევენ, ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია მისი პიროვნების იმავე კრიტერიუმით შეფასება, როგორც ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფეების.

„ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს", – ამბობდა ილია ჭავჭავაძე, – „და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თავის დროების შვილნიცა".

ამდენად საკითხავია, იყო კი პირობები გიორგი I-ის სახელმწიფოში პოლიტიკური წყობილების დესპოტიად გადაქცევისა? რა თქმა უნდა, არა. რადგან ქვეყანაში არსებული ვითარება ამის საშუალებას არ იძლეოდა. დავიწყოთ იმით, რომ გარდაიცვალა თუ არა ბაგრატ III და ძე მისი გიორგი ტახტზე აბრძანდა, ბაგრატის დაყენებულ ერისთავთ წინ აღუდგნენ ჰერეთ-კახეთის აზნაურნი და საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერების შესაფერხებლად თავიანთი წინანდელი მმართველობა ირჩიეს: შეერთებულ სამეფოს ჰერეთ-კახეთი ჩამოეცალა. მაგრამ არც შერჩენილ სამფლობელოებში უწევდნენ აზნაურები გიორგის დიდ ერთგულებას. იგივე მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1021–22 წწ. ბერძენთა კეისრის ბასილის შემოსევის დროს გიორგი მეფეს უნდოდა უთანხმოება მშვიდობიანად მოეგვარებინა „გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშვიდობაიო, არამედ „აზრახეს მას ბრძოლად".

მამაზე უარესი გაჭირვება აზნაურებისაგან გიორგი I-ის შვილმა ბაგრატ IV-მ გამოიარა, რომელიც გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყო.

ყველა ცნობიდან ცხადად ჩანს, თუ „რამდენად უღონო ყოფილა მაშინ საქართველოს მეფე და რამდენად ძლიერნი ყოფილან აზნაურნი, რომელნიც თავგამოდებითა დაუზოგავად ებრძოდნენ ხოლმე თავიანთ მეფეს". რასაკვირველია, ასეთ მეფეებს, რომელთაც საქართველოს ბატონებსავით აზნაურთა წინააღმდეგობითა და ბრძოლით ილაჯი გაწყვეტილი ჰქონდათ, არ შეიძლება თვითმპყრობელის (მითუმეტეს ტირანის – გ.მ.) სახელი უწოდოს კაცმა.

მაგრამ, თუ აზნაურები თავიანთ უფლებათა დასაცავად იბრძოდნენ, არც მეფეები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი: ეს მეტოქეობის ხანა ხანგრძლივ, სასტიკ, ხშირად დაუნდობელ ბრძოლას წარმოადგენდა. ამ ბრძოლის ისტორიის ერთი ნათელი მაგალითია ბაგრატ მეფის საზარელი ცბიერება და სივერაგე. ბაგრატმა ულმობლობითა და გულქვაობით იმსხვერპლა თვით მახლობელი ნათესავების სიცოცხლეც სახელმწიფოს გაფართოებისა და ერის გაერთიანების გულისათვის. აქე შეერთა ბაგრატ III-მ ერთ დროს განცალკევებული და ზოგჯერ ურთიერთის მოწინააღმდეგე ქართველ მოდგმის ტომების სამეფოები.

არანაკლები დაუნდობლობითა და სისასტიკით იბრძვის გიორგი I იმ მოწინააღმდეგეთა მიმართ, მისი სამშობლოს ერთიანობის ხელჰყოფას რომ ემუქრება.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებისათვის მებრძოლ ასეთ მხნე და გაბედულ მეფეებს თვით ეკლესიის მსახურნიც უჭერდნენ ხოლმე მხარს და ეხმარებოდნენ, ხან საქმით, ხანაც სულიერი გავლენით. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ „მკვდრეთით აღდგენილი" გიორგი I მარტო ქვეყნის ერთიანობის ხელმყოფელთა მიმართ როდია დაუნდობელი და სასტიკი. მეფისათვის პირად პატივმოყვარეობასაც ხომ არანაკლები მნიშვნელობა აქვს:

„სასტიკი და თვალთმაქცი მეფე", – აქე დახასიათა ერთმა კრიტიკოსმა რომანში გამოყვანილი გიორგი პირველი. თუმცა სასტიკი და თვალთმაქცი მეფე ზოგჯერ გულჩვილობასაც ამჟღავნებს. რამდენად ზუსტი და სამართლიანია ამგვარი შეხედულება? ნაწარმოების ზოგიერთი პერსონაჟიც ხომ აუგად მოიხსენიებს მეფეს: შავლეგ ტოხაისძე „გულმხეცს" უწოდებს, მამამზე ერისთავი – „გულზვიადს", კონსტანტინე არსაკიძე – გულმძვინვარეს" და „გულბოროტს". ამასვე იმეორებს შორენაც და სასოწარკვეთით ამბობს, უმალ სიკვდილის ცოლი გავხდებიო...

არა, არ ცდებიან მისი მაბრალებელნი, დიახაც გულბოროტი და გულმხეცია გიორგი პირველი. თავის სამიჯნურო ვნებათა გამო გზიდან ჩამოიშორებს მკვიდრ დეიდაშვილს გირშელს. მეფის სამიჯნურო ვნებას შეეწირებიან დიდოსტატი კონსტანტინე და შორენა.

„რატომ გვეუფლება სიმპათია ამ პერსონაჟისადმი? რატომ გვავიწყდება მისი ვერაგობა და მიუტევებელი ცოდვები? რატომ უნდა გვაღელვებდეს მისი ადამიანური ტრაგედია, როდესაც ის თვითონ არის ავტორი სხვათა ტრაგედიებისა და დაუნდობლად უსწორდება მტერსა თუ მოყვარეს". (თ.ნატროშვილი, მიჩქმალული გმირის აპოლოგია, ლიტსაქართ. 5 თებერვ. 1988).

აშკვეყნად მყარი არაფერია, მხოლოდ პირობითობა სუფევს ყოველგან, ის დანაშაული, რაც ერთ შემთხვევაში მიუტევებელ ცოდვადაა მიჩნეული, მეორე შემთხვევისათვის მისადამი მიტევება მადლია, რომელიც წარხოცავს ცოდვას.

როგორც ჩანს, ტირანობა მარტოოდენ ადამიანის ხასიათით არ არის განპირობებული. აქ ჩვენ ისტორიიდან არაერთ მაგალითს ვხედავთ ამ პოზიციის ნათელსაყოფად, რადგან ყოველ გმირს დრო და ვითარება ქმნის. სწორედ ასეთსავე გარემოებაზეა დამოკიდებული ტირანიის წარმოშობაც. დრომ და ვითარებამ უნდა მისცეს კაცს უსაზღვრო ძალაუფლება, რომ საშუალება ჰქონდეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების.

აი, რა აზრით შეიძლებოდა ყოფილიყო გიორგი I ტირანი. მაგრამ, ჰქონდა კი მას ასეთი პირობები. რა თქმა უნდა, არა. რადგან თვით მეფეც გიორგი I დროისგან დაღდასმული თავის ქვეშევრდომთა მსგავსად არა ნაკლებ ტრაგიკული პიროვნება იყო. და იმ სახელმწიფოში, სადაც თვით მეფეც არ იყო თავისუფალი, აუცილებელ საჭიროებად ითვლებოდა გაერთიანების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის ეროვნული მასშტაბით აზროვნება. ყველაფერი ერთ რწმენას, – ერთიან, ძლიერ, განუყოფელ საქართველოსთვის ბრძოლას უნდა დამორჩილებოდა, თუნდაც ეს მიზანი სასტიკსა და თვითნება, ოღონდ სამშობლოსათვის უღალატო და თავგანწირულ მეფეს განეხორციელებინა. ამ ჩანაფიქრის მიმდევრებისათვის გამქრალიყო პიროვნული ინტერესები, იგი დაეკავებინა სახელმწიფოებრივად აზროვნებას. ეს ერის მისია იყო და ამიტომ ცალკეული ადამიანები, რარიგ ნიჭიერნი და ინდივიდუალური თვისებებით ყოფილიყვნენ დაჯილდოებულნი, ამ ამოცანის განხორციელებას უნდა დამორჩილებოდნენ. მორჩილებისათვის განწირულთაგან განა თვით გულმაყრ დიდი ხელოვანი არსაკიძეც არ აცხადებს თანხმობას.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, თუ საერთო ძალისხმევას ქვეყნისას მეფე განასახიერებს მთელი თავისი სიძლიერით და სისასტიკით.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში გამოყვანილი გიორგი პირველი „ერის წყლულთა" მკლავმოუღლელ მკურნალად გვევლინება და ჩვენს წარმოდგენაში ამიტომაც არათუ უტოლდება, აღემატება კიდეც სვეტიცხოვლის შემოქმედს.

სახელმწიფოებრივი მმართველობის ყოველ ფორმას ანუ სახეს აქვს თავისი გარკვეული პრინციპი, მამოძრავებელი იმპულსი. XI საუკუნის დასაწყისის საქართველოში არსაკიძის სურვილი ხელოვნების თავისუფლებისათვის განა იგივე არ იქნებოდა, სულერთი რომ ყოფილიყო გიორგი I-თვის – სვეტიცხოველს ბერძენი ოსტატები აღაშენებდნენ თუ ქართველები. სწორედ XI საუკუნემ – ქართული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ხანამ შექმნა შუა საუკუნეთა საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები.

ბაგრატი, სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, სამთავისი... მტკიცე, ერთიანი, განუყოფელი საქართველოსათვის ბრძოლის შენაძენია.

სწორედ ამიტომ არ შემცდარან რეცენზენტები და მათთან ერთად მკითხველიც, როცა მეფე გიორგი, როგორც წიგნში, ისე ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილ ფილმშიც გაცილებით მეტი სისრულით აღიქვეს და სხვა გმირთა შორის მეტი სიყვარულით შეიყვარეს.

კ.გამსახურდიას ისტორიული რომანის ძირითადი თემა – თემა შემოქმედისა და შემოქმედებითი შრომის ბედისა სოციალური ძალმომრეობისა და ტირანიის პირობებში – მხოლოდ შორეულ წარსულს როდი განეკუთვნება. ეჭვი არ არის, რომ „დიდოსტატის" ბედი ყოველთვის იყო და იქნება დამოკიდებული ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობაზე, მის გარემომცველ გარემოზე. ისიც გასაგებია, რომ ისტორიული მასალა დიდმა მწერალმა გამოიყენა იმისათვის, რომ ალეგორიის მოშველიებით გამოეთქვა აზრი.

ასეთ პირობებში, ბუნებრივი იქნებოდა, რომ თავის უკეთეს გრძნობებსა და განზრახვებში შებორკილი და შეურაცხყოფილი ხელოვანის ტანჯვა საზოგადოებისათვის ყურადღების უმთავრეს სენად ქცეულიყო, მაგრამ თუ ეს ვერ მოხდა აქე, მხოლოდ იმიტომ, რომ გიორგი I-ის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, და ბოლოს, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები გამორიცხავდა დესპოტიზმზე დამყარებულ მმართველობას, ანუ ტირანიას.

**P.S.** მხოლოდ ისტორიას, როგორც წარსულისაკენ მიმართულ პოლიტიკას, ხელეწიფება გარკვევა – ვინა ვართ, შეუძლია გვითხრას, რა გვინდა და ბოლოს იმ უმთავრესზეც გაგვცეს პასუხი, თუ როგორ უნდა ვიღვაწოთ, რომ ეროვნული პატივმოყვარეობა, საქართველო უწინარეს ყოვლისა, რომლითაც შეპყრობილნი იყვნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი ჩვენი სახელოვანი წინაპრები, ნისლივით კი არ გაქრეს, არამედ თაობათა გულებში განაგრძოს სვლა.

**გიორგი მჭედლიშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის კათედრის დოცენტი

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №46.

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი დავით კვირცხალია

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



### თანადგომა

ბატონ გოგი ქავთარაძესთან ძალიან სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს. ვაფასებ მის ნიჭიერებას, ტალანტს და დიდი მადლობელიც ვარ მისი.

მაშინ ახალგაზრდა მსახიობი ვიყავი, როცა ბატონმა გოგიმ დატოვა რუსთაველის თეატრი. ვიცოდი, იმ საღამოს მატარებლით მიდიოდა.გადავწყვიტე მისი გაცილება ბაქანზე. რომ დამინახა, ძალიან გაუხარდა, მოვიდა და მითხრა: – მიხარია, ჩემს სპექტაკლში რომ შედიხარ... იცოდე, მე დავბრუნდები და ჩემთან ითამაშებ რომეოს.

ამის გაგონება ძალიან მესიამოვნა. იმ წუთში არც მიფიქრია, რომ ეს რეალობად იქცეოდა. გავიდა ხუთი წელი, ბატონი გოგი დაბრუნდა რუსთაველის თეატრში, გაანაწილა როლები შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში" და მე რომეოს როლი მომცა, რამაც ჩემს სამსახიობო კარიერაში დიდი როლი ითამაშა. სპექტაკლი დაიდგა მაშინ, როცა ეკრანებზე გამოვიდა ძეფირელის ყველასთვის ცნობილი ფილმი, რომელიც მართლაც დიდებული ნამუშევარია. თითქოს ამის გამო მაყურებელი ნაკლები უნდა ჰყოლოდა სპექტაკლს, მაგრამ ასე არ მოხდა დადგმას დიდი წარმატება ჰქონდა მთელი სამი წლის მანძილზე და მაყურებელი არ მოკლებია.

ჩემსა და გოგის საუბარს მაშინ, ბაქანზე არავინ ისმენდა, არც არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა ბატონ გოგის ჩემს მიმართ, მაგრამ გავიდა ხუთი წელი და მან თავისი კაცური სიტყვა შეასრულა. ალბათ, ესეც კურიოზია და თანაც სასიამოვნო კურიოზი ცხოვრებაში.



### ნემსი

ძალიან მიყვარდა ქალბატონი სესილია თაყაიშვილი, ცინცხალი გონების, ძალზედ ნიჭიერი, თავისებური და თბილი ადამიანი. მე მქონდა ბედნიერება მეთამაშა ქალბატონ სესილიასთან ფილმში „ქორწინება იმერულად". ვთამაშობდი ახალგაზრდა მხატვარს. ეს ფილმი იმითაც არის ჩემთვის სასიამოვნო, რომ მისი ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ თვით ლადო გუდიაშვილმა დაწერა ჩემთვის სასიამოვნო რეცენზია, რომელსაც ვაფასებ და დღესაც ვინახავ.

გადაღებები მიმდინარეობდა ჭიათურაში და მის ახლო-მახლო სოფლებში. ერთხელაც მთხოვა ქალბატონმა სესილიამ ჭიათურაში წასვლა. მე დავეთანხმე და მეორე დილით ვახოსთან (იგი რეჟისორის ასისტენტი იყო) ერთად წავედით ჩემი მანქანით. ქალბატონ სესილიას აწუხებდა დიაბეტი და მთელი ოცდაათი წლის მანძილზე საკუთარი ხელით იკეთებდა ნემსს.

ის იყო ხაშურს გავცდით, რომ მე და ვახოს გვთხოვა მანქანა გააჩერეთ და გადადითო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ქალბატონ სესილიას ნემსის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ვახომ არ იცოდა ეს ყველაფერი. არა და დაინახა როგორ ამოიღო ქალბატონმა სესილიამ ჩანთიდან შპრიცი.

ჩვენ გადავედით მანქანიდან. ვახო მეკითხება, რა ხდებაო.

– რა, არ იცი-მეთქი?

– რა უნდა ვიცოდეო!

მივხვდი, ვახო გაგებაში არ იყო და ვეუბნები – არ წაგიკითხავს მაინც, ცნობილი კინოვარსკვლავები რომ ავადდებიან, ზოგი ლოთდება, ზოგი იკეთებს... აი ელიზაბეტ ტეილორი, მერლინ მონრო...

– აა, ხო, ხო – თქვა ვახომ და ამით მორჩა ჩვენი საუბარი.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე. მოვრჩით გადაღებას და საღამოთი რესტორანში სუფრასთან ვსხედვართ. გავიხედე, ვახტანგი ადგა და მიუჯდა ქალბატონ სესილიას, რაღაცას ელაპარაკება, ელაპარაკება და უცებ – დებილია ეგ შენი კვირცხალია! – თქვა გაბრაზებულმა სესილიამ და გემრიელად სტკლიცა ხელი სახეში ვასოს.

დავუძახე ვახტანგს – რა მოხდა-მეთქი?

– გახსოვს, გზაზე რომ მომიყევი, ძალიან შევწუხდი, ერთი ნათესავი მყავს, ვინც არჩენს მაგ ამბავს, მივედი და შევთავაზე სესილიას, მოგიყვანთ ისეთ კაცთან, თქვენს განკურნებას რომ შეძლებსო და ა, რა მივიღე – თქვა და ლოყა მოისრისა.

ქალბატონი სესილია მაშინვე მიხვდა, ჩემი ოინი რომ იყო. მერე იხსენებდა ხოლმე, თითს დამიქნევდა და მეტყოდა: – შე მაიმუნო, შენ, როგორ იყო ის ამბავი?

### თამადა

აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში გვაქვს გასტროლები, ვთამაშობთ „საბრალდებო დასკვნას". მე ზაზა ნაკაშიძის როლში ვარ, ხოლო გოგოლს ბრწყინვალედ თამაშობს ბორის წიფურია.

სპექტაკლის შემდეგ წავედით ოფიციალურ ბანკეტზე, რომელსაც მართავდა მაშინდელი რაიკომის მდივანი. მიგვიყვანეს რაღაც უმშვენიერეს ადგილას. მაგნოლიებით სავსე ეზოში უცნაური ჩიტები დაფრინავდნენ, იყო ულამაზესი განათება, უცნაური სუნი ტრიალებდა ირგვლივ და ყოველივე ამას ფონად მშვენიერი მუსიკა გასდევდა. ბორიამ წამჩურჩულა არ ჩამომრჩეო და „უფროსობას" გაყვა ცენტრისაკენ, სადაც არნახული სუფრა იყო გაშლილი.

ყველანი მაგიდას მივუსხედით და ცოტა ხანში დანა-ჩანგალი ავაწკარუნეთ. ველოდით თამადის არჩევას, ეს არჩევა-შერჩევა კი ცოტა არ იყოს გაიწელა. მასპინძლებს უნდოდათ, რომ ჩვენ აგვერჩია თამადა, ჩვენ კი მასპინძლებს ველოდებოდით. სწორედ ამ დროს მეკითხება ბატონი ბორია: – დათო, შენ ჩვენ წრეში ყველაზე ღირსეულად ვინ მოგაჩნია?

მე ვერ მივხვდი, რატომ მეკითხებოდა და ვუპასუხე: – ბატონი გოგი გეგეჭკორი.

– სწორია, მეუბნება ბორია, კიდევ?

– კიდევ ბატონი კახი კავსაძე – ვპასუხობ მე.

ამ ჩვენს საუბარს ისმენენ რაიკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე, რომლებიც ჩვენს წინ ისხდნენ.

– მართალი ხარ, კიდევ? – არ მეშვება ბორია და დაჟინებით მეკითხება.

– სოსო ლაღიძე – ვეუბნები ისევ მე.

– კაცო, შენ რა, ჩემი გვარი დაგავიწყდა? მაგიტომ დაგსვი ჩემს გვერდით? – აღშფოთდა ბორია.

თურმე თამადობა უნდოდა, მე კი ვერაფერს მივხვდი. სუფრა, რა თქმა უნდა, მშვენიერად წარიმართა, დიდხანს მოვილხინეთ, მაგრამ, ალბათ, ეს იყო ერთადერთი მომენტი, როცა მეგრელებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს.

### ღამის თავგადასავალი

მოგეხსენებათ, რომ გასტროლები თეატრის ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, რომ კურიოზების კასკადია. ჯერ გამგზავრება, მერე ჩასვლა და ა.შ.

რუსთაველის თეატრს (წელი ზუსტად აღარ მახსოვს) მიწვევა ჰქონდა ფინეთში. იმ ხანად საზღვარგარეთ გამგზავრება მოსკოვის გავლით ხდებოდა. ჩვენ უკვე თვითმფრინავიდან ვიყავით „დაწყვილებულები" და ვიცოდით, ვინ ვისთან იქნებოდა ნომერში. მე და მირიან მშველიძე (ამჟამად თეატრის მთავარი მხატვარი) გადავწყვიტეთ მთელი მოგზაურობა ერთად ვყოფილიყავით. მოსკოვში ვჩერდებოდით ორი დღე და შემდეგ მივდიოდით ჰელსინკში. სრულიად შემთხვევით შევხვდით ძველ ნაცნობს, რომელმაც დაგვპატიჟა თავის სახლში. ჩვენთან ერთად იყვნენ სოსო ლაღიძე და დავით უფლისაშვილი. მირიანი იმ დღეს შეუძლოდ იყო და





ამიტომ ნომერში დარჩა. ვიცოდი, გვიან დავბრუნდებოდი. მეგობარი რომ არ გამეღვიძებინა, ამიტომ შევთავაზე კარი ღია დაეტოვებინა. ისიც დამთანხმდა და მეც მშვიდად წავედი საქეიფოდ (მაშინ მოსკოვის სასტუმროებში წესრიგი იყო და სრულებით არ იყო საშიში ნომრის ღია დატოვება).

სასტუმროში ძალიან გვიან დავბრუნდით, თან „ნამეტანი კარგ მდგომარეობაში". მივედი კარებთან, ჩამოვწიე სახელური, ვერ გავაღე, შიგნიდან იყო დაკეტილი. სართულის მორიგესთან ნომრის გასაღები არ აღმოჩნდა. ნეტავი ხომ არ დაავიწყდა ჩვენი შეთანხმება? – გავიფიქრე მე. ყველა ნომერი დაკავებული იყო, ღამეს ვერავისთან ვერ გავათევდი და ამიტომ ისევ დაკაკუნება ვარჩიე.

კარზე ნაზად დავაკაკუნე. ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სოსო და დათო მელოდებოდნენ. ცოტა არ იყოს შევშინდი, ვიფიქრე, კაცი შეუძლოდ იყო, ვაი თუ ცუდად გახდა! და ისევ დავაკაკუნე. ოთახიდან მომესმა მირიანის ხმა, ვინ არის? – იკითხა რუსულად.

– მე ვარ, ბიჭო, დათო, გამიღე კარები!

მირიანმა კარები ოდნავ გააღო, დამინახა და მიკეტა.

– ე, ბიჭო, გამიღე, დათო ვარ, რა მოგდის-მეთქი.

მირიანმა გააღო კარი, სოსო და დათოც თან მომყვნენ. შევედით ნომერში. ჩემი მეგობარი გაემართა სავარძლისაკენ, დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო. გავიხედე და რას ვხედავ. ჩემს საწოლში ვიღაც წევს. ვიფიქრე, ალბათ, ქალია-მეთქი, მაგრამ დავაკვირდი და მამაკაცი არ აღმოჩნდა?

– რა ხდება, ვინაა ეს კაცი? – ვეკითხები მირიანს, ის კი მანიშნებს, შენ ხარო.

– მე როგორ ვარ კაცო, მე ფეხზე ვდგევარ აგერ და ეს კაცი ვინაა? – ვკითხულობ ისევ მე.

მირიანი აღელდა, გაფითრდა, არა და ვერაფერს მიხსნის. არაფერი არ ვიციო, მეუბნება, ერთი ვიცი, რომ ეს კაცი შენ ხარო.

ახლა მე გადავირიე, ეს კაცი მე როგორ ვარ, როცა მე მე ვარ? აღმოვჩნდი აბსურდულ სიტუაციაში. მირიანს ჰგონია, რომ რაღაცა ნომერს ვთამაშობ, ჩემზე ბრაზდება, ბოლომდე კი ვერაფერს მიხსნის.

მთელი ამ დიალოგის მანძილზე ეს უცნობი, რომელიც ჩემს საწოლში იყო გამოჭიმული, ბედნიერად ხვრინავდა და არაფერი არ ესმოდა.

– მირიან! ვინაა ეს კაცი ამიხსენი! – ვთქვი საკმაოდ ხმამაღლა. ამ სიტყვებზე უცნობმა გამოიღვიძა და ხედავს, რომ თავზე სამი პალტოიანი მამაკაცი ვადგევართ და რაღაცის გარკვევას ვცდილობთ.

– ბიჭებო არ დამღუპოთო, აღმოხდა შეშინებულს ქართულად. თურმე მირიანს მართლა დაუტოვებია ნომერი ღიად, ამ კაცს მორიგესთან რომ უკითხია, ქართველები სად არიანო, მიუცია ჩვენი ნომრის გასაღები. შემოსულა ნომერში, აბაზანაში შხაპი მიუღია და დაწოლილა. მირიანს კი უფიქრია, რომ მე დავბრუნდი და მშვიდად ჩასძინებია.

ერთი სიტყვით, მთელი ღამე ვარკვევდით, ვინ ვინ იყო და ვინ ვისი მეგობარი. საკმაოდ გვიანი იყო, როცა „გამოძიება" დავამთავრეთ, უცნობმა ბოდიში მოიხადა და თავის ნომერში წავიდა.

მეორე დილით დასი კიევში მიემგზავრებოდა. ყველანი მატარებლების სადგურის ვესტიბიულში ვიყავით შეკრებილები. არ ჩანდა მხოლოდ მირიანი. მე მთელი დღე არ მენახა და არ ვიცოდი, სად იყო. გასვლის დრო ახლოვდებოდა. ის კი ისევ არ ჩანდა. საშინლად შევწუხდით, არ ვიცოდით სად გვეძებნა, მე გადავწყვიტე, რომ მეგობრის გარეშე არსად არ წავიდოდი.

გავიხედეთ ცენტრალური შესასვლელისაკენ და დავინახეთ მირიანი, რომელიც მოაგორებდა თავის ბარგს.

– სად ხარ კაცო, რატომ იგვიანებ, რაშია საქმე-მეთქი.

მირიანმა ჩანთები დადო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მეუბნება:

– არ მკითხო, ძლივს გამომიშვეს სასტუმროს ტელეფონების „სადისპეჩერო"-დან. იმ კაი კაცს, თურმე, წუხელ, მე რომ მეძინა, მთელი ღამე ულაპარაკია ქუთაისში და სანამ კაპიკკაპიკ არ გადამახდევინეს, არ გამომიშვესო.

ასე დამთავრდა ეს უცნაური ამბავი, რომელიც ალბათ წააგავს ერთ სცენარს კინოფილმ „მიმინო"-ში. ისე კი ჭკვიანი რეჟისორი ხელიდან არ გაუშვებდა ამ სიუჟეტს და სურათს თუ არა, მოკლემეტრაჟიან ფილმს მაინც გადაიღებდა.

### ყურის ბიბილო

მახსოვს, ალექსანდრე ჩხაიძის პიესაში „დაბრუნება" ვთამაშობდით მე და ბატონი ეროსი მანჯგალაძე.

სიუჟეტი ასეთი იყო: საქართველოს და უკრაინის დამეგობრებული ქალაქების წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს. ეროსის ვაჟიშვილი ვითომ სამამულო ომში იბრძოდა და უკრაინაში იყო დაღუპული. ქართველები მიდიან საფლავის მოსანახულებლად, სადაც შეხვდებიან უკრაინელ ბიჭს, რომელიც ძალიან გავს დაღუპულს. თანასოფლელები ასკვნიან, რომ ეს დაღუპულის შვილია და იწყება სოფლური დეტექტივი. ბატონი ეროსი მიჰყავთ ბიჭის სანახავად უკრაინაში. ამ ბიჭს მე ვთამაშობდი. ბატონ ეროსის ასეთი ტექსტი ჰქონდა: – ბიჭი კი გავს ცხონებულს, მაგრამ მამაჩემსაც, ბაბუაჩემსაც და მეც ერთი თვისება გვაქვს, ფიქრის დროს მარჯვენა ხელით მარცხენა ყურის ბიბილოს ვისრესთო. ახლა მე შეკითხვას მივცემ მას და თუ ეს გააკეთა, მართლა ჩემი შვილიშვილი ყოფილაო.

მე ამ დროს ვიდექი წინა პლანზე. ეს მოძრაობა რომ გამეკეთებინა, ხალხს აუცილებლად უნდა დაენახა. მარჯვენა ხელით რომ მომესრისა მარცხენა ყურის ბიბილო, ისეთნაირად ვიდექი, რომ მაყურებელი ვერ შეამჩნევდა ხელის მოძრაობას. კი დაინახავდა, მაგრამ ყურის მოსრესას ვერ დააფიქსირებდა. მეც ავდექი და დემონსტრირების მიზნით უკუღმა გავაკეთე. მარცხენა ხელით მარჯვენა ყურის ბიბილო მოვისრისე. სწორედ ამის გამო დარბაზში სიცილი ატყდა. მე ვერ მივხვდი, რატომ იცინოდნენ. ვფიქრობ, ასეთი დაძაბული სიტუაციაა, გადამწყვეტი მომენტია, მიცნობს თუ არა „ბაბუა შვილიშვილად" და ამ ხალხს ნეტა რა ამხიარულებს-მეთქი?

კულისებში რომ გავედი, ეროსიმ წარბი ამიწია და თავისი ბუხუნა ხმით მითხრა: – ეხ, შე ლაყე შენა, არ უნდა ისმინო, სცენაზე რას გელაპარაკებიან?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცუდი და კარგი ბანდები" ხელისუფლებაში

## ხომ არაფერი გეცნობა მკითხველო?

*სტატიის ავტორია — თურქი ჟურნალისტი* ***ბილალ ჩეთინი****. იგი ავტორია ამავე ხასიათის მეორე სტატიისა — „ცუდი და კარგი ბანდები". ეს სტატიები გამოქვეყნდა თურქეთის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში „იუნი იუზილ" — „ახალი საუკუნე". მათი ერთგვაროვანი ხასიათის გამო, ჩვენ ისინი შევკრიბეთ და თარგმანს ვათავსებთ ერთ პუბლიკაციაში.*

1990-იანი წლების დასაწყისში, როცა ხელისუფლების სათავეში თანსუ ჩილერი მოვიდა, მის მხარდამჭერს და მარჯვენა ხელს ქვეყანაში წარმოადგენდა პოლიციის შეფი, შემდგომ შინაგან საქმეთა მინისტრი მეხმედ აღარ (აწ გადამდგარი). სწორედ ამ მინისტრის მიერ შეიქმნა ე.წ. დამსჯელი რაზმი, რომელიც ხელისუფლებისა და რეჟიმის ოპოზიციაში მყოფ პირებს ანადგურებდა. ეს თავისებური გამანადგურებელი ჯგუფი თავის დროზე იმისთვის შეიქმნა, რომ ქურთული ეროვნული მოძრაობის პარტიის „პკკ"-ს და სომხური ტერორისტული ორგანიზაცია „ასალას" მონაწილეთათვის ანგარიში გაესწორებინა. ბოლო წლებში თურქეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი მომრავლდა, სერიოზული ეჭვი იბადება, რომ ამ საქმეთა ჩამდენი სწორედ ეს რაზმია. იგი თურქეთის ძალოვან სტრუქტურებში (სამხედროების გარდა) გაბატონებული ე.წ. ცუდი ბანდაა. მის ერთ-ერთ პრაქტიკოს მეთაურს, როგორც ცნობილია, აბდულა ჩათლი წარმოადგენდა. (იგი ცოტა ხნის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. და ეს ამბებიც აქედან გაიხსნა).

აბ.ჩათლი 1980 წლამდე თურქ-ნაცისტ-მკვლელთა მეთაური იყო. თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები მას ეძებდნენ, როგორც უამრავ მკვლელობათა ორგანიზატორს. იგი 80-იან წლებში გაიქცა ევროპაში, სადაც ნარკოკონტრაბანდაში მონაწილეობის გამო საფრანგეთში შეიპყრეს და 5 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელის მოხდის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ იგი შვეიცარიას გადასცა, სადაც იგივე ბრალდების საფუძველზე გაასამართლეს და სპეცციხეში ჩასვეს. აქედან აჩათლი გაიქცა. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ამ საქმეში თურქეთის უშიშროების ორგანოთა ხელი ურევია. თურქეთში დაბრუნებულ ჩათლის, ჩანს, კარგად შეხვდნენ. მისცეს დიპლომატიური პასპორტი, რომელზეც ხელს აწერს მაშინდელი პოლიციის სამართველოს შეფი, შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრი, თჩილერის მარჯვენა ხელად აღიარებული მეხმედ აღარ, ეს უკანასკნელი მინისტრი, ჩათლის საქმეთა გამჟღავნებისთანავე გადადგა.

აბ.ჩათლი თურქეთში დაბრუნების შემდეგ აქაურ ძალოვან სტრუქტურებში მკვიდრდება, როგორც გაბატონებული ე.წ. „ცუდი ბანდის" ორგანიზატორ-შემსრულებელი. ხოლო ამ დროს, იმავე თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები და ინტერპოლი ეძებენ ამ პიროვნებას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტ ორგანიზატორს და ნარკოკონტრაბანდისტს. აბ.ჩათლი კი ამ დროს თურქეთშია მოკალათებული შეცვლილი სახელით, დიპლომატიური პასპორტით და ორგანიზაციას უკეთებს თჩილერის ხელისუფლების და რეჟიმის ოპოზიციაში მყოფი „არასაიმედო" პირების ფიზიკურ განადგურებას. პარადოქსია, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოები ამ პირის განკარგულებაში იყვნენ, ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ მის ხელში. ამ დროს ძალოვან სტრუქტურებში არსებობს მეორე დაჯგუფება ე.წ. „კარგი ბანდა", იგი ოპოზიციაში უდგას უფრო მეტი ძალაუფლების მქონე „ცუდ ბანდას", ფეხდაფეხ მისდევს მის ნაკვალევს, იღებს ყველა მის ნამოქმედარს ვიდეოკამერაზე. მაგრამ ჯერ ხელს არ უშლის მათ მოქმედებაში, რომ ახლო მომავალში ამ მასალის საშუალებით ძალოვან სტრუქტურებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვოს. და აი, ავტოკატასტროფაში დაიღუპა აბ.ჩათლი და მისი ნამდვილი ვინაობაც გამომჟღავნდა, ბანდიტ ტერორისტის სახე.

რაც დრო გადის, დასავლეთის საზოგადოებრიობის თვალში თურქეთის სახელმწიფოს ავტორიტეტი ეცემა; თურქეთის ხელისუფლება კარგავს პრესტიჟს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საბაჟოთა კავშირის წევრობით ევროპის სახლში გაერთიანებისკენ ერთი ნაბიჯი გადავდგით, სინამდვილეში კი ნაბიჯი გადაგვიდგამს უკან. მსგავსად ფეხბურთისა, თითქოს პირველ ლიგაში გადასვლას ვცდილობდით, რეალურად კი მესამე ლიგისაკენ მივგორავთ. საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით თურქეთი კრიტიკულ მდგომარეობაშია. იგი დასავლეთის თვალში კარგავს დადებით ქულათა კრედიტს. თურქეთს უკვე ლათინო-ამერიკულ ნარკო-კოკაინის სამეფოთა რიცხვს აკუთვნებენ.

ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. ხსენებული ავარიის შემდეგ დაიწყო დაწვრილებითი ძიება.

პირველი სიგნალი ცნობა ამ ამბის შესახებ ჰოლანდიის პოლიციიდან მოვიდა. ჰოლანდიაში გაჩხრიკეს თურქეთის ბანკთა წარმომადგენლობები. ანგარიშების დაწვრილებით შემოწმებისას იძებნებოდა შავი ბიზნესიდან მოპოვებული შავი თანხა, რომელიც ბანკებში უნდა ყოფილიყო შენახული ლეგალიზებული სახით ე.წ. გათეთრებული სახით.

მორიგი ცნობა მოვიდა გერმანიიდან. გერმანიის ტელევიზიამ გადასცა სენსაციური ინფორმაცია პირველ ამბად. ეკრანზე გამოსახულ თურქულ დროშას ნახევარმთვარესა და ვარსკვლავზე ნარკოტიკის ნემსი ჰქონდა ნაჩვენები. გერმანიის სასამართლო მძიმე ბრალდებას უყენებდა ყოფილ პრემიერს, საგარეო საქმეთა მინისტრს თჩილერს ნარკოკონტრაბანდაში მონაწილეობის სახით.

საზღვარგარეთ ნარკობიზნესთან კავშირში ჩილერის სახელი უკვე მეორედ ფიგურირებს. ამას წინათ კანადაში შეპყრობილ ცნობილ კონტრაბანდისტს ჯიბეში ჩილერის პირადი ტელეფონის ნომერი აღმოაჩნდა. ამის გამო ყოფილი პრემიერი მძიმე ბრალდების წინაშე დგას.

ნუთუ ეს ყველაფერი შემთხვევითია? არაა საჭირო დამნაშავის ძებნა სხვაგან, იგი ჩვენს ქვეყანაში უნდა ვეძიოთ. ოფიციალური ბანდების საქმიანობის მიჩქმალვის ნაცვლად, უმჯობესია გამოკვლეულ იქნეს ყველაფერი კანონიერად, პატიოსნად და სახელმწიფო აყვანილ იქნეს სიწმინდის რანგში. ხოლო ამას ჩვენი დემოკრატიის და სახელმწიფო საგარეო პრესტიჟისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**თარგმნა ალი ალთუნმა**

---

● *უნიკალური წიგნი — რეცენზია*

# სრული გვიან საპოვნარია

ავთანდილ სილაგაძის და ანზორ თოთაძის წიგნში „გვარ-სახელები საქართველოში" (თბ., 1997) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია გვართა გეოგრაფია, გვარ-სახელთა განფენილობა საქართველოს რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. ამასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, 21 ათასზე მეტი გვარი დალაგებულია გვარების მაწარმოებელი ფორმანტების მეშვეობით. სხვათაშორის, ჩვენდა გასაკვირად, პირველი ცდა გვართა ამ ნიშნების მიხედვით გამიჯვნისა ქართულ ონომასტიკაში (*ონომასტიკონში* ერთიანდება საკუთარი სახელები ადამიანთა — *ანთროპონიმები*, ტომთა და ხალხთა-*ეთნონიმები*, ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა-ზოონიმები, ადგილთა-*ტოპონიმები*, მდინარეთა, ტბათა, ზღვათა-*ჰიდრომები*) სცადა და ერთობ წარმატებითაც, გვარ-სახელთა ცნობილმა მკვლევარმა, გეოგრაფმა და ეთნოგრაფმა ვლადიმერ ნიკონოვმა. ცნობილია, რომ ამჟამად მოქმედი სულ რაღაც 13 სუფიქსი აწარმოებს საქართველოში მცხოვრებ 3,5 მილიონზე მეტი ადამიანის გვარს.

ქართველებს, სხვა ხალხებთან შედარებით, ათი და მეტი საუკუნით ადრე ჰქონდათ გვარები, სამაგიეროდ დღემდე არავინ იზრუნა შეექმნა ცნობარი, რომელშიც მისხალ-მისხალ აღნუსხული იქნებოდა ყველა გვარ-სახელი, რომლითაც ჩვენი სულმნათი წინაპარი ამშვენებდა ცხოვრებას, ინახავდა ტრადიციას და უფრთხილდებოდა ერის ღირსებას. გვარი ხომ ოჯახის მემკვიდრეობითი სახელი, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია. გვარის შესწავლას მეცნიერებისათვის მრავალმხრივი ღირებულება აქვს. ნებისმიერი გვარი ერის ისტორიის ცალკე ფურცელია, ხოლო ერთად წარმოდგენილ-განხილული კი ისტორიის სრულიად გადმოცემის საფუძველთა-საფუძველი. იგი საშუალებას გვაძლევს სრულად აღვნუსხოთ ისტორიული მოვლენები, წარმოდგენა ვიქონიოთ წინაპართა ხელობა-საქმიანობაზე, ტომობრივ წარმოშობასა და სადაურობაზე, ბუნებისა და ფლორა-ფაუნისადმი დამოკიდებულებაზე და ა.შ.

დღემდე ქართველები დავალებული ვიყავით ვლადიმერ ნიკონოვისა და ჩვენი თანამემამულე ილია გაგულაშვილისაგან, რომელთაგან, პირველმა თავის ცნობილ წიგნში **„География фамилии" (М., 1988)** გამოსცა „ქართველთა გვარების გეოგრაფია და ეთნოისტორია", და მეორემ, კი შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული გვარები" (ქუთაისი 1993). და აი ის ხარვეზი და ჩამორჩენა შეავსეს და დაძლიეს ზემოთ მოხსენიებულმა ავტორებმა. წიგნი „გვარ-სახელები საქართველოში" პრეტენზიას არ აცხადებს სრულყოფილებაზე, მაგრამ, როგორც ავტორებიც წერენ, გარკვეულ (ცნობილ) მიზეზთა გამო დაგროვილი დიდძალი მასალა უბრალოდ არ ჩაეტია ერთ წიგნში. წიგნში, რომელიც უკვე გახდა მრავალი ოჯახის სრულყოფილი წევრი, ასახვა ვერ ჰპოვა იმ გვარებმა, რომელთა წარმომადგენლობათა რიცხვი ოც კაცზე ნაკლებია. ასეთი გვარების რაოდენობა კი ათასობითაა. „ეს მეტად დამაფიქრებელი დემოგრაფიული პრობლემაა, შეიძლება ითქვას — საჭვეყნო სატკივარი. ის, ვინც ამ წიგნში თავის გვარს ვერ იპოვის, ის უნდა მიხვდეს, რომ მისი გვარი გაქრობის პირასაა მისული და მან ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რათა გადაარჩინოს თავისი გენი, ჯილაგი, საკუთარი მოდგმა და არ იქცეს ისტორიის კუთვნილებად. ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის იმ ძირძველ ქართულ გვარებზე, რომელთაც უდიდესი დამსახურება მიუძღვით ერისა და ქვეყნის წინაშე. ამ გვარების საუკეთესო წარმომადგენლებმა ისტორიის მრავალ ქარცეცხლში გამოატარეს თავიანთი გენი და ამით ქართული სული, და დღეს, მეოცე საუკუნეში, არ ეპატიებათ მათ შთამომავლებს თავისი გვარის უკვდავებისათვის ზრუნვა შვილების გამრავლებაში არ გამოხატონ" (ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე, „გვარ-სახელები საქართველოში", თბ., 1997, გვ. 13).

ამ დუხჭირ დროში ყოველი ქართული წიგნის გამოჩენა თაროზე უდიდესი ბედნიერებაცაა და გმირობაც. ამდენად, აქ ჩვენ ნაკლზე არ მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას თუნდაც იმიტომაც, რომ უნაკლო თვით ბრილიანტიც კი არაა, ხოლო რაც შეეხება სისრულეს, იგი უბრალოდ შეუძლებელია, როგორც ავტორებიც იმოწმებენ სულხან-საბა ორბელიანს, „სრული გვიან საპოვნარია".

ავტორთა მიერ ყამირი უკვე გაიჭრა. ქართული ონომასტიკა სუსტადაა შესწავლილი. ნარატიული წყაროები, საეკლესიო და საერო ჩანაწერები, სიგელ-გუჯრები, მოსახლეობის აღწერის სიები და სხვა კარგი ხანია ელიან მკვლევარ-სპეციალისტებს, მაგრამ ამაოდ. ჩვენი დაუდევრობით მრავალი საინტერესო და უნიკალური მასალა გაიფანტა და განადგურდა. ჩვენ ხელიდან გავუშვით შანსი გვქონოდა გვართა არა მარტო ის ფონდი, რომელიც დღეს ცოცხალია, არამედ ისიც, რომელიც ერთ დროს ამკობდა და აძლიერებდა როგორც ქართულ ოჯახს, ისე დედა-ისტორიას.

სარეცენზიო წიგნით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ როგორც რაოდენობრივი, ისე ტერიტორიული მოტივის მხრივ აბსოლუტურად სჭარბობს გვართა ორი ფორმა: *ძე* კომპონენტიანი დასავლეთ საქართველოში და კომპონენტით შვილი აღმოსავლეთ საქართველოში. ორივე ფორმანტის პირველსაწყისი მნიშვნელობა მსგავსია: -ძე „ვაჟი, შთამომავალი"; *შვილი* „ბავშვი", „დაბადებული", „შობილი". ისინი ტიპოლოგიურად ჰგავან სხვა ხალხების გვარებს. გერმანულ ენებში *სენ* (*სუნ, სონ, ზონ*) — „ვაჟი", თურქულში — ოღლი — „ვაჟი", — *კიზი* „ქალიშვილი, გოგონა"; ყველა ფორმანტი უერთდება რა ძირებს, მიანიშნებენ მამაზე და მიუთითებენ იმაზე, თუ „ვისი ვაჟია".

ვაჟიშვილი ქართულ ოჯახში გვარის გამგრძელებლად ითვლებოდა და ამასთან დიდი პატივითაც სარგებლობდა. ამ ტრადიციამ წიგნში წარმოდგენილ მასალაშიც იჩინა თავი. წიგნში შესულ გვართაგან — *ძე*-ზე დაბოლოებულია 1,649,222, ხოლო შვილზე 1,303,723. რეგიონის მიხედვით *ძე*-თი გაწყობილი გვარები დაწინაურებულია: აჭარა 275340 (შვილით 23809), იმერეთი 534794 (152786), გურია 104583 (27515), რაჭა 18105 (7698), ჯავახეთი 2713 (590).

*ძე*-ზე დაბოლოებული გვარების თავისებური „კუნძულია" — თბილისი. აქ ჩვენ ცნობისმოყვარულ პარადოქსთან გვაქვს საქმე. თბილისში *ძე*-ზე დაბოლოებული გვარები უფრო ნაკლებია, ვიდრე *შვილ*-ზე. *შვილი* 377399, *ძე* 333672.

ფორმანტი *შვილით* ქალთა სახელებიდან ნაწარმოებია გვარები: თამარაშვილი, ეთერია, შუშანაშვილი, მარიამიძე (მარიამული), დარეჯანიშვილი, ელისაბედაშვილი, ჟუჟუნაშვილი, ჟუჟუნაძე. ხშირად ასეთ გვარებს უკანონოდ გაჩენილ ან მარტოხელა დედებს უკავშირებენ. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ ისინი წარმოიქმნა იმ მიზეზით, რომ ქვრივი ქალი თავის თავზე იღებდა შვილების მოვლა-პატრონობას და ყველანაირ გაჭირვებას.

წიგნში მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დასავლეთ საქართველოში გვართა დიდ რაოდენობას შეადგენენ ისეთები, რომლებიც ბოლოვდებიან -ია და -უა სუფიქსებით. ფორმანტი ნაწარმოებია მეგრული ენიდან, რომელიც ძლიერ ახლოსაა და ნათესაურია ქართულისა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული სუფიქსები მომდინარეობენ შედარებით ადრინდელ ფორმა იანი-დან. სამეგრელოში გვარების აბსოლუტური უმრავლესობა ნაწარმოებია ფორმანტით — *ია* (321571), -*ავა* ((124526), -უა 43192.

სვანეთში მოსახლეობის 3/4-ზე მეტი ატარებს გვარებს, რომლებიც ნაწარმოებია ქართულ-სვანურ ფორმანტებით -*ანი*, -*იანი*. აღნიშნულის ფორმანტები მიგვანიშნებენ, როგორც კუთვნილებას, ისე მფლობელობას, ასევე მკრებლობას. ამ ფორმანტებმა წარმოქმნა მრავალი ქართული სიტყვა (მარილიანი, სიტყვიდან მარილი შდრ. მარილიანი), ქართული ენის ინვერსიულ ლექსიკონში აღრიცხულია ანი-თა და იანი-თ გაწყობილი 4197 სიტყვა. მათგან წარმოქმნილი გვარების პირვანდელი მნიშვნელობა ასეთნაირად იწერება: ზურაბიანი (ზურებიანი)-„ზურაბის კუთვნილება", ე.ი. ზურაბის შთამომავალი, ონიანი — „ონიდან მოსული".

წიგნში შესულ მასალას სხვა ღირსებებთან ერთად უთუოდ დიდი პრაგმატული, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. დღეს როცა პირმშოს სახელს მშობლები აძლევენ, თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ სახელთა იმ მდიდარი ფონდით, რომელიც სარეცენზიო წიგნშია წარმოდგენილი.

ჩვენი რეცენზია შეიძლებოდა დაგვემთავრებინა სიტყვებით, ვინ მეტით და ვინ უკეთესით შეეწევა ქართულ მეცნიერებას და ვინ ამოავსებს ნაპრალს, ქართულ ონომასტიკონში რომაა გაჩენილი?!

**იაკობ ახუაშვილი**
საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

საქართველო ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა, როდის და რომელ არხზე

## ოთხშაბათი, 21 მაისი

**1** 7.30 ალიონი; 9.00 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 18.00 მოამბე; მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 50/50; 20.00 მოამბე; ვიდეოპატრული 02; 20.45 ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი; პროგრამა დღე; 21.20 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 22.00 ვესტნიკი; 22.25 პანორამა წარმოგიდგენთ მხატვრულ ფილმს „წითელი მზე“; 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი; 19.20 მულტფილმები; სიყვარულის ისტორია; 20.20 ავსტრალიური ტელესერიალი „დაბრუნება ედენში“; 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი; 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა წარსულთან“. დასასრულს – მუსიკალური გადაცემა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“; 11.30 მულტფილმები; 12.10 დოკუმენტური ფილმი; 13.00 ტელეკომპანია „მირ“; 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „საფრთხობელები“; 15.15 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“; 16.00 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიკსი“; 17.00 საინფორმაციო პროგრამა; 17.30 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 1.35 ნოვოსტი; 10.15 „გოგონა, სახელად ბედი“; 11.00 ვ.პოზნერის პროგრამა; 11.40 ცხოველთა სამყაროში; 12.20 საოჯახო ბიბლიოთეკა; 12.30 გამოიცან მელოდია; 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მორიელის ნიშნით“; 14.20 ისტორიის ბორბალი; 15.05 რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. „კრილია სოვეტოვ“ (სამარა) – „როტორი“ (ვოლგოგრადი); 15.55, 22.40, 1.55 გადაცემათა პროგრამა; 16.20 მულტსერიალი; 16.45 კაქტუსი და ლ; 16.55 დო–მი–სოლ; 17.15 ჯუნგლის ძახილი; 17.40 „ნიკო და მისი მეგობრები“; 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა; 18.35 სამყაროს გარშემო; 19.20 „გოგონა, სახელად ბედი“; 20.05 ამინდი; 20.10 პიკის საათი; 20.35 გამოიცან მელოდია; 21.00 ელდარ რიაზანოვის პარიზული საიდუმლოებანი; 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია; 22.45 მხატვრული ფილმი „დაუმთავრებელი პიესა მექანიკური პიანინოსათვის“; 0.40 პრეს–კლუბი; 1.45 პრეს–ექსპრესი; 2.00 „მთავარი ეჯვმიტანილი“.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00 ვესტი; 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა; 10.00, 0.30 გადაცემათა პროგრამა; 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“; 10.35 L- კლუბი; 11.10. „სანტა–ბარბარა“; 12.15 ახალი მეხუთე ბორბალი; 12.45 გრაფომანი; 13.00 მხატვრული ფილმი „მირგოროდი და მისი მკვიდრნი“, II სერია; 14.10 დოკუმენტური ფილმი; 14.40 რეტრო–შლაგერი; 14.55 უძრავი ქონების მაღაზია; 15.25 სახლი ორ ქუჩაზე; 15.50 ნოუ–ჰაუ; 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 16.45 პარლამენტარები; 17.10 თქვენი უფლება; 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“; 18.15 ტამ–ტამ ნოვოსტი; 18.25 ლუკომორიე; 18.50 შეხედე საკუთარ თავს; 19.05 ადამიანები, ფული, ცხოვრება; 19.35 რუსები; 20.00 „სანტა–ბარბარა“; 21.35 საღამო მშვიდობისა; 22.20 რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. „ტორპედო–ლუჟნიკი“ (მოსკოვი) – „ლოკომოტივი“ (მოსკოვი); 0.35 საყრდენი წერტილი; 0.45 ტელეთეატრი; 1.40 კაფე ობლომოვი; 2.20 ღამის პროგრამა; 2.35, 2.55 ტელემაღაზია.

**НТВ** 7.10, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 1.00 სევოდნია; 7.15, 8.15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.35, 8.35 კარდანის ლილვი; 7.40 გრადუსნიკი; 7.45, 10.20 ისტორიული დღე; 7.50 ზღვარს მიღმა; 8.20 შოუ–ბიზნესის ახალი ამბები; 8.40, 10.45 მე – პირადი მცველი; 8.50 გაზეთების მიმოხილვა; 9.10, 10.25 ხარის საათი; 9.20 გამოსადეგი; 9.35 ფინანსები და ბიზნესი; 9.50 ცინცხალი გონებით; 10.35 რეტრო–ნოვოსტი; 10.50 კინოსიახლენი; 11.15 დილა; 11.30 დოკუმენტური ციკლი „ველური ბუნება“; 12.30 საბავშვო პროგრამა; 13.20, 17.20 ფული; 13.35 გამოსადეგი; 13.50 კომპიუტერი; 14.00 ღია სამყარო; 14.05 „ჩეხოვის სიზმარი“ – „შავი ბერი“; 14.45, 2.00 ტელემაღაზია; 15.20 დიდი ვრემეჩკო; 16.05 „გაქნილი ჯოი“; 17.35 დისტანცია–60; 18.35 „ცისფერი ხე“; 19.30 საბავშვო პროგრამა; 20.40 დღის გმირი; 21.05 მხატვრული ფილმი „საიდუმლო აგენტი როისი“; 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“; 0.40 ვრემეჩკო; 1.20 ღამის ვრემეჩკო; 2.10 მელომანია.

## ხუთშაბათი, 22 მაისი

**1** 8.30 ალიონი; 9.30 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 18.00 მოამბე; ანსამბლი „ლაშარი“; მერიდიანი; ჰიგია; რამპა; 20.00 მოემბე; ვიდეოპატრული 02; ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი; პროგრამა დღე; 21.20 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 22.00 ვესტნიკი; მრავალსახეობა; ავტოგრაფი; 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მე–2 არხი; 19.20 მულტფილმები; სპორტული გადაცემა; ელიტარული ქრონიკა; ინტერვიუ; 20.20 ავსტრალიური ტელესერიალი „დაბრუნება ედენში“; 22.00 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მე–2 არხი; 22.30 რუსული მხატვრული ფილმი „მექანიკოს გავრილოვის საყვარელი ქალი“; დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“; 11.30 მულტფილმები; 12.10 დოკუმენტური ფილმი; 13.00 ტელეკომპანია „მირ“; 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „თავზეხელაღებული; 15.30 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“; 16.00 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიკსი“; 17.00 საინფორმაციო პროგრამა; 17.30 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 1.05 ნოვოსტი; 10.15 „გოგონა, სახელად ბედი“; 11.00 ელდარ რიაზანოვის პარიზული საიდუმლოებანი; 11.40 მოგზაურთა კლუბი; 12.40 სმაკი; 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მორიელის ნიშნით“; 14.15 მულტფილმი; 14.45 აშკარა–დაუჯერებელი; 15.15 თეატრი+TV; 15.55, 22.40, 1.55 გადაცემათა პროგრამა; 16.20 მულტსერიალი; 16.45 ჩუნგა–ჩანგას კუნძული; 17.15 ლეგო–გო!; 17.40 „ნიკო და მისი მეგობრები“; 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა; 18.35 სამყაროს გარშემო; 19.20 „გოგონა, სახელად ბედი“; 20.00 ამინდი; 20.05 პიკის საათი; 20.30 ჯენტლმენ–შოუ; 21.05 ჩემი ოჯახი; 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია; 22.45 მხატვრული ფილმი „რამდენიმე ზედმეტი დოლარის საფასურად“; 0.15 მელოდიები „სიმღერა–96“–ის ფინალური პროგრამიდან; 1.40 პრეს–ექსპრესი; 2.15 მხატვრული ფილმი „სამხილები“;

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00 ვესტი; 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა! 10.00, 0.30 გადაცემათა პროგრამა; 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“; 10.35 უსასრულო მოგზაურობა; 11.10 „სანტა–ბარბარა“; 12.15 ადამიანი, ფული, ცხოვრება; 12.45 გრაფომანი; 13.00 მხატვრული ფილმი „მკვდარი სულები“, I სერია; 14.15 ჭეშმარიტების მომენტი; 14.40 რეტრო–შლაგერი; 14.55 უძრავი ქონების მაღაზია; 15.25 „ჰამლეტი“, I ნაწილი; 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 16.45 საუკუნის ზღურბლზე; 17.10 ბნელი საბაბურინისთვის; 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“; 18.15 ტამ–ტამ–ნოვოსტი; 18.25 ლუკომორიე; 18.50 შეხედე საკუთარ თავს; 19.05 რჩეული; 19.35 რუსები; 20.00 „სანტა–ბარბარა“; 21.35 საღამო მშვიდობისა; 22.20 მხატვრული ფილმი „ანა კისერზე“; 0.35 საყრდენი წერტილი; 0.45 ვინ ვართ ჩვენ? 1.30 თქვენი წერილების პასუხად; 2.10 ღამის პროგრამა; 2.20, 2.30 ტელემაღაზია.

**НТВ** 7.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00, 1.00 სევოდნია; 7.15, 8.15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.35, 8.35 კარდანის ლილვი; 7.40 გრადუსნიკი; 7.45, 10.20 ისტორიული დღე; 7.50 ზღვარს მიღმა; 8.20 შოუ–ბიზნესის ახალი ამბები; 8.40, 10.45 მე – პირადი მცველი; 8.50 გაზეთების მიმოხილვა; 9.10, 10.25 ხარის საათი; 9.20 გამოსადეგი; 9.35 ფინანსები და ბიზნესი; 9.50 ცინცხალი გონებით; 10.35 რეტრო–ნოვოსტი; 10.50 კინოსიახლენი; 11.15 დილა; 11.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი“; 12.30 საბავშვო პროგრამა; 13.20, 17.20 ფული; 13.35 კომპიუტერი; 14.00 ღია სამყარო; 14.45, 2.00 ტელემაღაზია; 15.20 დიდი ვრემეჩკო; 16.05 „გაქნილი ხე“; 19.30 საბავშვო პროგრამა; 20.40 დღის გმირი; 21.05 მხატვრული ფილმი „მკვლელობის ტალანტი“; 22.40 რუსული ალბომი; 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“; 0.40 ვრემეჩკო; 1.20 ღამის ვრემეჩკო; 2.10 მხატვრული ფილმი „სალორე“.

## პარასკევი, 23 მაისი

**1** 7.30 ალიონი; 9.00 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 18.00 მოამბე; ცეკვავს ანსამბლი „კელაპტარი“; ინტერმეცო; 50/50; 20.00 მოამბე; ვიდეოპატრული 02; ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი; ასპარეზი; პრეს–სტუდია; 22.00 ვესტნიკი; 22.00 ლატარია ყველასათვის; ტელე–სინე ვიდეო; მარია კალასის სახელობის კონკურსი; 23.50 ქვიშის საათი;

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი; 19.20 მულტფილმები; სპორტული გადაცემა; 20.20 ავსტრალიური ტელესერიალი „დაბრუნება ედენში“; 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი; 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „ბრმა მართლმსაჯულება“; დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“; 11.30 მულტფილმები; 12.10 დოკუმენტური ფილმი; 13.00 ტელეკომპანია „მირ“; 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „მოთავე“; 15.15 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“; 16.00 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიკსი“; 17.00 საინფორმაცი პროგრამა; 17.30 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 0.55 ნოვოსტი; 10.15 „გოგონა, სახელად ბედი“; 11.05 ჩემი ოჯახი; 11.45 სანამ ყველა შინაა; 12.20 საოჯახო ბიბლიოთეკა; 12.25 დაუკარ, გარმონო! 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მორიელის ნიშნით“; 14.20 მულტფილმი; 14.40 ჯენტლმენ–შოუ; 15.15 თეატრი+TV; 15.55, 22.40, 2.50 გადაცემათა პროგრამა; 16.20 მულტსერიალი; 16.45 მხატვრული ფილმი „საიდუმლო კუნძული“; 18.30 „მაგია: ზებუნებრივი სამყარო“; 19.20 „გოგონა, სახელად ბედი“; 20.10 ამინდი; 20.15 ადამიანი და კანონი; 20.45 პოლე ჩუდეს; 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია; 22.45 მხატვრული ფილმი „დანაშაულებრივი ჯაჭვის რგოლი“; 0.10 ვზგლიადი; 1.05 კინოკომედია „პროხინდიადა, ანუ ადგილზე სირბილი“; 2.40 პრეს–ექსპრესი.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00 ვესტი; 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა; 10.00, 0.30 გადაცემათა პროგრამა; 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“; 10.35 ანშლაგი წარმოგიდგენთ.. 11.10 „სანტა–ბარბარა“; 12.15 რჩეული; 12.45 გრაფომანი; 13.00 მხატვრული ფილმი „მკვდარი სულები“, II სერია; 14.25 მინარეთი; 14.40 რეტრო–შლაგერი; 14.55 უძრავი ქონების მაღაზია; 15.25 „ჰამლეტი“, II ნაწილი; 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 16.45 რუსეთის ოქროს რუკა; 17.10 არაფერი, გარდა... 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“; 18.15 ტამ–ტამ–ნოვოსტი; 18.25 ლუკომორიე; 18.45 შეხედე საკუთარ თავს; 19.05 საპარლამენტო ცნობარი; 19.35 რუსები; 20.00 „სანტა–ბარბარა“; 21.35 საღამო მშვიდობისა; 22.20 კინოკომედია „ბენზინგასამართი სადგურის დედოფალი“; 0.35 საყრდენი წერტილი; 0,50 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. რუსეთი–ნიდერლანდები; ტრანსლაცია ცსკა–ს დარბაზიდან; 1.50 ღამის ექსპრესი; 2.30 ღამის პროგრამა; 2.45, 3.05 ტელემაღაზია.

**НТВ** 7.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 სევოდნია; 7.15, 8,15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.35, 9.35 კარდანის ლილვი; 7.40 გრადუსნიკი; 7.45, 10.20 ისტორიული დღე; 7.50 ზღვარს მიღმა; 8.20 შოუ–ბიზნესის ახალი ამბები; 8.40, 10.45 მე – პირადი მცველი; 8.50 გაზეთების მიმოხილვა; 9.10, 10.25 ხარის საათი; 9.20 გამოსადეგი; 9.35 ფინანსები და ბიზნესი; 9.50 ცინცხალი გონებით; 10.35 რეტრო–ნოვოსტი; 10.50 კინოსიახლენი; 11.15 დილა; 11.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი“; 12.30 საბავშვო პროგრამა; 13.20, 17.20 ფული; 13.35 გამოსადეგი; 13.50 კომპიუტერი; 14.00 ღია სამყარო; 14.45, 1.45 ტელემაღაზია; 15.20 დიდი ვრემეჩკო; 16.05 „გაქნილი ჯოი“; 17.35 დისტანცია–60; 18.35 „ცისფერი ხე“; 19.30 საფეხბურთო კლუბი; 20.40 დღის გმირი; 21.05 კინოკომედია „მიეაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“; 22.30 ალო, ფირმა! 22.45 დოყლაპიები; 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“; 0.40 ვრემეჩკო; 1.20 ღამის ვრემეჩკო; 1.55 მხატვრული ფილმი „კლასი“.

## კროსვორდი



თარაზულად: 2. სიყვარულის „მურიანი“ მდინარე რუსეთში; 8. მინდორი, რომელიც „მუდმივ მოლოდინშია“; 9. „ცისფერთა“ ბიბლიური ქალაქი; 10. „უსინათლო“ ნაწლავი; 12. დაუსახლებელ კუნძულზე მოხვედრილი „ბიზონივით“ ამტანი მოგზაური; 13. მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით (ფილმ. კავშ.); 16. „მეშახტეთა“ სოფელი ქიზიყში; 19. ლუდის სიძველის მაჩვენებელი; 21. ის, რისთვისაც წინათ აღზევანს მიდიოდნენ, ახლა კი „ბუტკაში“ მივდივართ; 22. შებინდებისას შესასრულებელი ფალიაშვილის ოპერა; 23. „სონის“ ფირმის ძმაკაცი; 25. ის, რაზეც ადიან, სადაც სვამენ, საიდანაც აგდებენ; 27. ლეგალური კონტრაბანდა; 30. რყევების საზომი ხილი; 31. ხელმოცარულ საქმოსანთა თავშეყრის ადგილი; 32. „ოსების საკერული“ ჯილდო ჰოლივუდის ვარსკვლავთათვის; 33. „მორიდებული“ ამერიკელი მწერალი; 34. „რიგელი“ გადამყიდველი.

შვეულად: 1. ინსპექტორთა დამაპურებელი ნათურა; 3. თავი, რომელსაც დავარცხნა არ სჭირდება; 4. სახელი, რომელსაც ჩვენში ქალს ეძახიან, საფრანგეთში ქალაქს; 5. ის, რასაც მეგრელები სტუმრებს აჭმევენ, კახელები – ჭუკებს. 6. გოიმი – კახურად; 7. პოპულარული უცნობი; 9. ალიბაბას „პაროლი“; 11. „მეფე“ ფრინველი (რუს.კავშ.); 14. მანქანებით ჯირითი; 15. აივნიდან ცხენზე დახტომის ოსტატი (ფილმ.); 17. „ღამის მურიანი“ ფრინველი; 18. პიონერთა და ტყვეთა ზონა; 20. ნოეს გემი; 24. პირველი ადგილის ექვივალენტი პიედესტალზე; 26. საათის საბრძოლო ნაწილი; 28. მოედანი, სადაც ორი კაცი თავ–პირს ამტვრევს ერთმანეთს; 29. ის, რაც ჭამაში მოდის.

აკაკი ცოტაძე

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება არასტანდარტული სამოთახიანი ბინა რვასართულიანი სახლის მე-3 სართულზე, ტელეფონით, ლოჯიით და სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-19-53

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 დოლარი. ტელ. 23-26-83

საბურთალოს ბაზართან იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული ბინა რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე, საერთო ფართი 105 კვმ, ორი დიდი აივნით, რკინის კარებით, სარდაფით, მანქანის სადგომითა და ტელეფონით. ფასი 36000$ ტელ. 39-23-63

სასწრაფოდ იყიდება 2 ოთახიანი იზოლირებული, სუფთა ბინა. საწყისი ფასი 15000 დოლარი, ან გაერთიანებული ორი 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა. საერთო ფართი 120 კვმ მაღალი ჭერით. ბინებს აქვს ლოჯია, ორი აივანი, სარდაფი, ტელეფონები. საწყისი ფასი 30000 დოლარი. ტელ. 31-79-03

ვყიდი ან ვცვლი ცენტრში ნაკლებ ფართზე 4,5 ოთახიან ბინას, თემქაზე, მოსკოვის პროექტი, IV მკრ. VII სართული. აქვს დიდი სარდაფი, მანქანის ფარეხი და ტელეფონი. ფასი 15000 ლარი. ტელ. 64-70-70 ნათელა

ვყიდი ან ვცვლი ოროთახიან ბინას მიშენებით II სართულზე, ოთახნახევრიან ან 2 ოთახიან ბინაზე ვაჟა ფშაველას VI კვარტ. 27 ა კორპ. ბინა 19. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-35-80 ნატაშა

ვყიდი საბურთალოზე ორსართულიან კერძო სახლს, 700 კვმ მიწის ნაკვეთით. მისამართი: გამრეკელის ქ.№35 ტელ. 31-98-61, ფასი შეთანხმებით.

იყიდება სამოთახიანი ბინა წყნეთის ქუჩა №3, სარდაფით, გარაჟით, ეზოთი, მიშენებით. ტელ. 23-05-56 ნიკო ან თამუნა. ფასი შეთანხმებით.

იყიდება ოთხოთახიანი 150 კვმ ფართის უმაღლეს დონეზე გარემონტებული ბინა, ორი ბუხრით, III სართულზე. თოიძის 52. ტელ. 96-42-12. ფასი შეთანხმებბით

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ნაძალადევის რაიონში, ბეჟანიშვილის 22, III სად. III სართ. ორი დიდი აივნით, მიშენებული ლოჯიით, ევროპული სტილის გარდერობით. ტელ. 66-07-50 (17 სთ-ის შემდეგ).

იყიდება 5 ოთახიანი იზოლირებული ბინა ჩუღურეთის რ-ში 2 სართულიანის მე-2 სართულზე. საცხოვრებელი ფართი 140 კვმ, რკინის კარებით, ქუჩის პირას - ორი აივნით. სათავსო პირველ სართულზე. ტელ. 96-65-75

ვყიდი ერთოთახიან ბინას, გადაკეთებულს ოთახნახევრიანად. რემონტით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-97-45

ვყიდი 8 ოთახიან ბინას ქალაქის ცენტრში დიდი ლოჯიით, ღია და დახურული აივნებით, დიდი სამზარეულოთი. ორი საპირფარეშოთი და აბაზანით. 3 ტელეფონით. ჭერის სიმაღლე 5 მ. მთლიანი ფართობი 280 კვმ, ბინას სჭირდება კოსმეტიკური რემონტი. აქვს ორი შესასვლელი სადარბაზოდან და ეზოდან. ფასი 150000 დოლარი. ტელ. 99-61-33 მანანა

იყიდება საბურთალოზე, შარტავას ქუჩაზე, სააკაძის ძეგლთან 2 ოთახიანი გადაკეთებული 3 ოთახად, იზოლირეული ბინა. მანქანის სადგომით. ტელ. 38-61-04, ფასი 25000 დოლარი.

იყიდება 5 ოთახიანი ბინა 3X2. I სართულზე. გააჩნია 2 ოთახი. მთაწმინდის რ-ნი, ყიფიანის №7 ტელ. 98-97-66

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გადაკეთებული 3-იანად. 47 კვმ, მაღალი ჭერით. რკინის კარებით. ლოჯიით ქუჩის მხარეს. სველი წერტილები საერთოა. ყიფიანის №7 ტელ. 99-09-49

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ლოჯით, საერთო ფართი 150 კვმ ფასი 150000 დოლარი. ტელ. 22-22-37

იყიდება 5 ოთახიანი მშენებარე ბინა, ვაკეში საცურაო აუზთან, მეორე სართულზე. საერთო ფართი 200 კვ. ფასი 36000 დოლარი. ტელ. 29-18-57

## სხვადასხვა

იყიდება იაფად ჰოლანდიური საზაფხულო მეორადი ტანსაცმელი. ტელ. 38-41-55

იყიდება სასწორები 100 კგ-ანი, 150 კგ-იანი და 500 კგ-იანი. ფასი შეთანხმებით. სასადილოს მოწყობილობა-დანადგარები. მაგიდები. ტელ. 61-27-14

იყიდება 4 კვტ-იანი დიზელ-გენერატორი, სამფაზიანი. ახალი, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით ტელ. 35-38-79 (დილით); 99-83-32 (საღამოს).

ვყიდი ელექტროკარდიოგრაფს „მალიში". ფასი მოლაპარაკებით. ტელ. 93-19-31 (10-16 სთ-მდე); 96-97-90 (18-20 სთ-მდე). იკითხეთ გივი

ვაწარმოებ თუნუქის სახურავების შეკეთება-შეღებვას და სხვა სამშენებლო სამუშაოებს ყველაზე დაბალ ფასებში გარანტიით. ანგარიშსწორება ნებისმიერი. ტელ. 37-35-90 საღამოს

მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 73-02-74

იყიდება უჟანგავი ლითონისაგან დამზადებული ბაკები. არის ტონიანები და ორტონიანები. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-27-14 ლევანი

გთავაზობთ ნებისმიერი დიზელის საწვავის სისტემის შეკეთებას ყოფილი საბჭოთა და უცხოური. ტელ. 39-01-17 მის. ვაშლიჯვარი. გოძიაშვილის ქ.№24

იყიდება ფაქსი „პანასონიკი-7210". როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით. ტელ. 98-73-77

იყიდება მაიმუნი „მაკაკი" წლინახევრის. სახელად ცაკი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-27-30

იყიდება წმინდა სისხლის ძაღლი „სტაპორშიდ ტერიერი" ვეფხვისებური შეფერილობით. 11 თვის, გავლილი აქვს 3 თვიანი მომზადების კურსი და აცრილია. ყურები მოჭრილი აქვს. ტელ. 60-26-60

იყიდება წითელი ხის ამპირის ინგლისური ავეჯი 10 ნაჭერი. სასადილო ბრინჯაოს დეტალებით. საწყისი ფასი 8000 დოლარი. ტელ. 93-20-66

იყიდება 5 ტონიანი თერმოსი, საწყისი ფასი 1500 ლარი. ტელ. 72-04-49 (კახა (16 სთ-ის შემდეგ); 94-03-31 კობა

## ქირავდება

ქირავდება ან იყიდება სასაწყობო ან საოფისე ფართობი კოსტავას ქუჩაზე. ნახევრად სარდაფი 130 კვ.მ სველი წერტილებით კარგ მდგომარეობაში. ტელ. 39-31-75 ირინა, დათო

ქირავდება მაღალჭერიანი არასტანდარტული ბინა მე-3 სართულზე, აღმაშენებლის პროსპექტზე ავეჯით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-72-61

ქირავდება ერთოთახიანი ბინა გადაკეთებული 2 ოთახად . ახლადგარემონტებული, ტელეფონით, რკინის კარებით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-33-11 ან 38-43-69 ლუიზა შაბათ-კვირის გარდა

ვაქირავებ პატარა ოთახს მარტოხელასათვის, ცალკე ოთახში იცხოვრებს დიასახლისი. მეტრო „ვარკეთილთან" ახლოს. ტელ. 73-00-74

## ვასწავლი

ვასწავლი ინგლისურ ენას სკოლამდელ და სკოლის მოსწავლეებს. ტელ. 51-88-06

**მაია მაზიაშვილს**
ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, ნათელ და ბედნიერ მომავალს.
ლია ბზიკაძე

ჩვენს საყვარელ **ანა ავლოხაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას.
ავლოხაშვილების და მახარაძეების ოჯახი

## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

# უ

უთარაშვილი - 28 (ახმეტა - 6; გორი - 6; თბილისი - 16);
უთრუთაშვილი - 28 (დედოფლისწყარო - 15; თბილისი - 13);
უთხუთაშვილი - 25 (დედოფლისწყარო - 25);
ულარჯიშვილი - 25 (ადიგენი - 13; ახალციხე - 3; თბილისი - 9);
ულუმბეგაშვილი - 30 (თბილისი - 16; მცხეთა - 2; ბორჯომი - 1);
ულუმბერაშვილი - 24 (ლაგოდეხი - 7; თბილისი - 5; სამტრედია - 5);
უნდილია - 43 (მარტვილი - 27; ჩხოროწყუ - 13; სენაკი - 2);
ურდია - 48 (სამტრედია - 34; თბილისი - 9; ზუგდიდი - 1);
ურდულაძე - 21 (თბილისი - 14; თელავი - 7);
ურეკაძე - 46 (თბილისი - 21; რუსთავი - 12; ონი - 8);
ურიათმყოფელი - 21 (ზესტაფონი - 11; თბილისი - 5; აბაშა - 4);
ურმიშვილი - 43 (თელავი - 41; თბილისი - 1; ყვარელი - 1);
ურუდია - 26 (ქობულეთი - 7; რუსთავი - 6; თბილისი - 4);
ურუზაშვილი - 21 (თბილისი - 15; რუსთავი - 4; ყვარელი - 2);
ურჩაძე - 27 (ზესტაფონი - 16; ბორჯომი - 6; ქუთაისი - 3);
ურჯუკაშვილი - 29 (ახმეტა - 14; თბილისი - 10; დუშეთი - 2);
ურჯუკელაშვილი - 48 (თბილისი - 4; ახმეტა - 1; რუსთავი - 1);
უსინაშვილი - 43 (გურჯაანი - 41; თბილისი - 2);
უტარაშვილი - 23 (გორი - 10; თბილისი - 9; კასპი - 4);
უშანგიშვილი - 22 (თბილისი - 22);
უჩიძე - 22 (თბილისი - 3; ფოთი - 2; ქუთაისი - 2);
უძულაშვილი - 29 (თბილისი - 19; კასპი - 10);
უჭალიშვილი - 36 (თბილისი - 4; რუსთავი - 1; ყვარელი - 31);
უჯარაშვილი - 37 (თბილისი - 7; მცხეთა - 30);
უჯირაული - 39 (ახმეტა - 31; თელავი - 4; თბილისი - 1).

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი მწუხარებით იუწყება ამავე პარტიის წევრის ვახტანგ გოგიჩაიშვილის მამის

**კარლო გოგიჩაიშვილის**

გარდაცვალებას.
გამოსვენება შაბათს, 24 მაისს 12 საათზე. მისამართი: ქბათუმი. გორგასლის ქ.№141. დაკრძალვა სოფ. ჯურყეთში, 16 სთ-ზე.

## საინვესტიციო ფონდ „ქართული კაპიტალის" აქციონერთა საყურადღებოდ!

შაბათს, 14 ივნისს, დღის 12 საათზე, გაიმართება საინვესტიციო ფონდის აქციონერთა საერთო კრება
მისამართი: სანდრო ეულის ქ.№1, მე-7 სართული, სააქტო დარბაზი


### კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!



განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61

### ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


# ჰოროსკოპი
## 21-24 მაისი

ვერძი - შაბათს მუშაობა მოგიწევთ და მისი დასრულების შემდეგ იძულებული იქნებით საოჯახო საქმეებს მიხედოთ.

კურო - შემთხვევით, სასარგებლო საქმიანი საუბარი გექნებათ, რომლის შემდეგაც მოგიწევთ თქვენთვის უჩვეულო საქმის ან ცოდნის დაუფლება.

ტყუპები - სასიყვარულო, ყოვლისწამლეკი დღეების შემდეგ მომავალი კვირის ორშაბათ-სამშაბათს თვითანალიზს და საკუთარი მე-ს ძიებას დაიწყებთ.

კირჩხიბი - უამრავი საქმის შემდეგ მივლინებაში გაემგზავრებით.

ლომი - სიხარული გეწვევათ და ფილოსოფიურ განწყობაზე დაგაყენებთ.

ქალწული - საქმიანი საუბრები, სასარგებლო ხელშეკრულებები გრძელდება, ეცადეთ არ გადაიღალოთ.

სასწორი - უეცრად გაგიმართლებთ, ორშაბათიდან კი საქმე მოგემატებათ, მაგრამ არა უშავს, ეს თქვენთვის მომგებიანია.

ღრიანკალი - თქვენ გიყვართ ახალი სიტუაციები, ახალი ხალხი, ახლა კი აუცილებელია ახალი საგნის ცოდნაც; ნუ დაიზარებთ, ისწავლეთ.

მშვილდოსანი - რა არის ეს ცუდ ხასიათზე ყოფნა? ოჯახური წვრილმანი საქმეები მაინც გააკეთეთ.

თხის რქა - ეცადეთ მოერიდოთ დეპრესიას. მიხედეთ ჯანმრთელობას; ლოთობა და ტრანკვილიზატორები ხომ ხედავთ, არ გშველით. უძილობა თავისით გაივლის, იქნებ რაიმე ახალი საქმე დაგეწყოთ? კარგი იქნება, თუ შეჩვეული ადგილიდან სადმე გაემგზავრებით.

მერწყული - სასიყვარულო აღმაფრენა გრძელდება, მაგრამ ორშაბათ-სამშაბათს ეცადეთ უარყოფითი ემოციები შეაჩეროთ. ოტელ, გაფრთხილდით, თორემ თქვენი თავშეუკავებლობა ავად გაგხდით; ჩვენს დროში დეზდემონები თავს არ ახრჩობინებენ, კარატეს სწავლობენ.

თევზები - აქტიური დასვენება, მოგზაურობა, სწავლა, ახლის შეცნობა, აი, ესაა თქვენთვის მაისის საჩუქარი.

## კვებეკი რეფერენდუმისთვის ემზადება

ახლოვდება კანადის პროვინცია კვებეკში ამ პროვინციის დამოუკიდებლობისათვის რეფერენდუმის ჩატარების ვადა. კანადის მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ ამ საკითხისადმი რიგით მესამე რეფერენდუმი უკანასკნელი უნდა იყოს. კვებეკს გარეთ მცხოვრებთა 70% და პროვინციის მაცხოვრებელთა 50% თვლის, რომ კვებეკი უნდა დარჩეს კანადის განუყოფელ ნაწილად.

## პრეზიდენტმა დაითხოვა პარლამენტი

ალბანეთის პრეზიდენტმა სალი ბერიშამ ყურად არ იღო ოპოზიციისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიწოდება დიალოგისაკენ, მან დაითხოვა ქვეყნის პარლამენტი და 29 ივნისისათვის დანიშნა ახალი არჩევნები. იტალიის პრემიერმა რომანო პროდიმ განაცხადა, რომ თუ ოპოზიცია და ხელისუფლება ალბანეთში ვერ მოახერხენ შეთანხმებას, საერთაშორისო სამშვიდობო ძალები უნდა გამოვიდნენ ქვეყნიდან.

## მოსკოვის მერი განაწყენებულია

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა უარი თქვა ლონდონში ვიზიტზე. აქ იგი უნდა დასწრებოდა მოსკოვის დაარსების 850 წლისთავთან დაკავშირებით ევროპის მსხვილი ბანკების წარმომადგენელთა თათბირს, სადაც რუსულ მხარეს 400 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციების გამოშვება უნდა ეუწყებინა. ლონდონის შეხვედრაზე უარის თქმის მიზეზად მოსკოვის მერმა ელცინთან შეხვედრის აუცილებლობა დაასახელა. ბრიტანული პრესის ცნობით კი ლუჟკოვი განაწყენდა იმით, რომ მასთან შეხვედრას არ აპირებდნენ დიდი ბრიტანეთის დედოფალი და პრემიერ-მინისტრი.

# ლუკაშენკოს გადამკიდე ბელორუსი შეიძლება მეორე ჩეჩნეთად იქცეს

### ბელორუსის დემოკრატიულ ძალთა II ნაციონალური კონგრესის „სუვერენიტეტისა და დემოკრატიის დაცვისათვის" განცხადება ბელორუსისა და რუსეთის კავშირის შესახებ

ქვეყანაში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის განხილვის შემდეგ, რესპუბლიკა ბელორუსის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა წარმომადგენლები, რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეები, რომლებიც საზოგადოებრიობის II კონგრესზე შეიკრიბნენ, აღნიშნავენ, რომ ბელორუსი იმყოფება ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მდგომარეობაში. რესპუბლიკაში ბატონობს უკანონობა, ხდება ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები. ასეთ სიტუაციაში პრეზიდენტი ა.ლუკაშენკო ახორციელებს ფართომასშტაბიან კამპანიას ბელორუსის სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის მიმართულებით.

შემოთავაზებული რუსულ-ბელორუსული კავშირი არ შეიძლება არ შევაფასოთ სხვაგვარად, თუ არა, როგორც პრეზიდენტ ა.ლუკაშენკოს მისწრაფება გადაარჩინოს თავისი გაბანკროტებული რეჟიმი და თავი აარიდოს მის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებებისათვის პასუხისმგებლობას. ბელორუსისა და რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოებად გაერთიანება, ერთიანი ეკონომიკით, ვალუტით, არმიით, კანონმდებლობით აუცილებლად გამოიწვევს ბელორუსის სუვერენიტეტის დაკარგვას და მის შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ეს ეწინააღმდეგება რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციას, ასევე საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებს და ბელორუსის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებს.

ჩვენ - კონგრესის მონაწილეები - გადაჭრით ვაცხადებთ - რუსეთთან კავშირს ბელორუსის სუვერენიტეტის დაკარგვისაკენ მივყავართ. ბელორუსის დამოუკიდებლობა უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს და ჩვენ მას ყველა საშუალებით დავიცავთ.

ჩვენ გამოვდივართ ყველა სახელმწიფოსთან თანასწორი ურთიერთობის მოთხოვნით და მხოლოდ ისეთ კავშირებს და შეთანხმებებს ვუჭერთ მხარს, რომლებიც არ ზღუდავენ ბელორუსი ხალხის უფლებას საკუთარი სახელმწიფოებრიობის ქონაზე, არამედ ბელორუსის სახელმწიფოს უფლებას, ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი.

ბელორუსი - ჩვენი სახლია! და ჩვენ - რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს - გვინდა ვიყოთ მისი პატრონები და არა მსახურები. ბელორუსის დემოკრატიული საზოგადოებრიობა უნდობლობას უცხადებს პრეზიდენტ ა.ლუკაშენკოს. ჩვენ მივმართავთ თანამემამულეებს მოწოდებით, არ დაუჭირონ მხარი მის მოღალატურ პოლიტიკას ბელორუსის სუვერენიტეტის დათმობის საკითხში.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, რუსეთის მთავრობას, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს შეწყვიტონ ყოველგვარი მოლაპარაკება არალეგიტიმურ, დიქტატორულ რეჟიმთან. ჩვენ ვურჩევთ რუსეთის ხელმძღვანელობას, ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ა.ლუკაშენკო ახორციელებს ანტინაციონალურ პოლიტიკას, ხელმძღვანელობს რა პირადი ძალაუფლების მოყვარე მისწრაფებებით. ამ ქმედებებს შეუძლიათ სამოქალაქო ომის გამოწვევა და ბელორუსის გადაქცევა მეორე ჩეჩნეთად.

ჩვენ ვაფასებთ დემოკრატიული სახელმწიფოებისა და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების (ეუთო, ევროპის საბჭო, ევროპული კავშირი და სხვა) პრინციპულ პოზიციას, რომლებიც არ ცნობენ ეგრეთ წოდებული სრულიად ბელორუსის რეფერენდუმის შედეგებს. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, არ მისცენ იურიდიული მნიშვნელობა ბელორუსისა და რუსეთის კავშირის შესახებ შეთანხმებას, რამდენადაც შემდგომში იგი გაუქმებული იქნება რესპუბლიკა ბელორუსის ხელისუფლების კანონიერი ორგანოების მიერ.

ბელორუსი არ უნდა გაქრეს მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან!

ქვეყნისათვის ამ საპასუხისმგებლო დროს, ჩვენ ვაცხადებთ - ნებისმიერი ქმედება, ბელორუსის სუვერენიტეტის დაკარგვისაკენ მიმართული, წარმოადგენს ეროვნულ ღალატს და უმძიმეს დანაშაულს სამშობლოს წინაშე.

**მიღებულია 1997 წლის 15 მაისს ბელორუსის დემოკრატიულ ძალთა II ნაციონალური კონგრესის მიერ.**

# კაიფვორდი



მიწოლილად: 4. სიტყვამოსწრებული, რომელიც „ენით მატს" გისვამს; 8. „მჟღავი" ტყავი (რუს. კავშ); 9. „სამხედრო პარადების და კარტის" სათამაშო ადგილი მატარებელში; 11. „ენას საყვარელი ათასკილოგრამიანი" კაცის სახელი; 12. „ცეცხლმოდებული" სქესის წარმომადგენელი; 13. „ლიას დასახვევი" მდინარე საქართველოში; 14. „კონსტანტინეს" მუდმივი სიდიდე; 17. „აზის" ელექტრული სადენი; 18. ნანას და რეზოს „თანხმობის ნიშანი" გაზეთი (ნაწ. იტალ. კავშ.); 20. ის, რაშიც სდებდა ბრალს გამსახურდია ოპოზიციას „გზასთან" ერთად (რუს. კავშ); 22. „ახირებული" ძროხების „კუტოკი"; 23. „ოპტიმალურ" პირობებში „ტიკის" გამოსაყენებელი ფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სინათლეს; 25. „მეექვსე მუსიკალურ ნოტზე" „ვაშას" მაძახებელი მექსიკური ტელესერიალის პერსონაჟის სახელი (რუს. კავშ); 27. დაუნდობელი „ოსი ბარბარა"; 28. მტრის „ურდოს" შემოსევის დროს აკიდებული გრიპი; 31. რა უნდა სიყვარულს და ნაპარავ ცხენს; 33. „ოლიას" ციმბირის მხარე; 34. ღორი, რომელსაც „არ" უყვარს „ზვინის" ქვეშ წოლა (ნაწ. რუს. კავშ.); 35. „გუდაში" დამხრჩვალი;

მიყრდნობილად: 1. „ფისოს" ათასკილოგრამიანი" ფეთქებადი ნივთიერება; 2. „გარის" ავეჯის კომპლექტი, რომელიც „ტურას არ" ეკუთვნის (რუს. ნაწ. კავშ.); 3. ჩვენი „გალაქტიკის ონელი" პოეტი; 5. „ნიკის მომლოდინე" ფერადი ლითონი; 6. მზესუმზირის გული, ატმის „ქათამი" (რუს. კავშ.); 7. „ტოტოს და ლიზას" დოლზე გამართული „ტორიანი" თამაში ფულზე; 10. ქალი, რომლის მამალიც ოპერაში მღეროდა (სიმღ.); 14. „კომაში ჩავარდნილ მისიონერთა" ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 15. „სახელმწიფო ავტოინსპექციის" გამოსაყენებელი თეფში; 16. „ახი ობიანი" არტისტი; 19. თანხა, რომელიც ლიონში „სამჯერ" მოიპარეს (რუს. კავშ.); 21. „ჩერეს" მოყვარული ინგლისელი დიპლომატი; 24. იაშიკი, რომელმაც ნოეს „დობა" გაუწია; 26. „ჭუჭყიანი" ბუზღუნი; 29. იტალიური დამშვიდობება „ჩაისთან"; 30. „თამბაქოს" მოსაწევი დედაქალაქი აზიაში; 32. „აუ", ეს მინერალური წყალი ხომ ქართლშია.

კობა გაიდოშვილი

### ნინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

მწოლიარედ: 1. წერტილი; 3. ქრთამი; 8. ყორანი; 9. სორო; 14. ცხენი; 15. ჩოჩორი; 17. ლოყა; 20. ნიანგი; 22. ტეტია; 23. საპონი; 25. საი; 26. ილია; 27. სარა; 28. სასთუმალი; 29. ტაია; 30. თავი; 31. დონჟუანი.

მდგომიარედ: 1. წესი; 2. იკა; 3. ქარავანი; 4. მე; 11. ხუთშაბათი; 12. ლილიპუტი; 13. დოქი; 16. შამილი; 18. ატლანტა; 19. ასანთი; 21. გრამი; 24. ნისია.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444